ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 12 ივნისი 1998 №88 (623) ფასი 50 თეთრი

# პარაგვაი — ბულგარეთი 0:0
# საუდეთი — დანია 0:1
# საფრანგეთი — ს. აფრიკა 3:0

REUTERS მარსელიდან



ფრანგთა გასაჭირი კარგი თავდამსხმელის არყოლააო. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, დიუგარის მინდორზე შესვლა და გატანა ლამის ერთი იყო

FRANCE 98

ჩემპიონატის მესამე დღეშ მასპინძელი ფრანგებიც და აზიელებიც ჩართო საქმეში, თან პირველი იღბლიანი შეცვლის, მორიგი ავტოგოლების და მეოთხე ყაიმის მოწმედაც გვაქცია. გუშინ საფრანგეთმა პირველმა მოიგო დიდი ანგარიშით, ოღონდ ისე, რომ სამიდან ორი გოლი სამხრეთაფრიკელებმა საკუთარ კარში გაიტანეს. თუმცა, ერთმანეთს მიწყობილი ფრეების ფონზე ესეც საქმეა. წაგებით დამწუხრებულებშიც კი ყველაზე უბედური „მარსელის“ აფრიკელი მოთამაშე პიერ ისა გახლდათ. ამ მცველის უიღბლობა მართლაც საარაკოა, ნაკრებში სულ მესამედ ითამაშა და უკვე ორი გოლი გაუტანა თავისიანებს. ამ საცოდავს ალბათ ისიც ვერ დაამშვიდებს, ზოგიერთმა სააგენტომ მისი მეორე ავტოგოლი კარში დამრტყმელ ტიერი ანრის რომ ჩაუთვალა. მარსელელებს თავისი კლუბის მცველისა და მთელ საფრანგეთს მეტოქის ეს იაღლიში, ცხადია, ნაკლებად ადარდებთ: ჩემპიონატი ხომ ყველაზე რიხიანად მასპინძლებმა დაიწყეს.

## დღეს სამი მატჩია

**ესპანეთი — ნიგერია**
ნანტი. 16.30

**კორეა — მექსიკა**
ლიონი. 19.30

**პოლანდია — ბელგია**
სენ დენი. 23.00

## საქართველოს წილი: ირლანდია და რუმინეთი

გუშინ კარდიფში მორაგბეთა მსოფლიო თასის შესარჩევ კენჭისყრაზე საქართველომ ირლანდიასა და რუმინეთთან ერთად მეორე ჯგუფში ამოჰყო თავი. ამ სამეულს შორის გამარჯვებულის ვინაობა დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე“ 14-22 ნოემბერს უნდა გაირკვეს.

1995 წლის მსოფლიო თასის ბრინჯაოსმედალოსანი საფრანგეთი ავტომატურად დაუშვეს ფინალურ ეტაპზე, ხუთი ერის პირველობის კიდევ ერთი მონაწილე უელსი კი მასპინძლის რანგშია.

ევროპის შესარჩევი ჯგუფები ასე დალაგდა:

პირველი ჯგუფი: შოტლანდია, ესპანეთი, პორტუგალია (მიურეიფილდი, ედინბურგი. 28 ნოემბერი — 5 დეკემბერი)

მეორე ჯგუფი: ირლანდია, რუმინეთი, საქართველო (ლენსდაუნ როუდი, დუბლინი. 14-22 ნოემბერი)

მესამე ჯგუფი: ინგლისი, იტალია, ჰოლანდია (მაკალპინ სტადიუმი, ჰადერსფილდი. 14-22 ნოემბერი)

შეჯიბრება 1999 წლის 1 ოქტომბერს დაიწყება. ფინალი კი 6 ნოემბერს კარდიფში გაიმართება. მორა

მსოფლიო თასის კენჭისყრის შედეგები იხილეთ მეათე გვერდზე

REUTERS მარსელიდან



პიერ ისა — კაცი, რომელიც ძალიან შერცხვა

# საფრანგეთი არა, ისა!

მატჩი №7. 12 ივნისი. მარსელი. სტად ველოდრომი. 60 000 მაყურებელი

## საფრანგეთი 3:0 ს. აფრიკა

1:0 დიუგარი (35); 2:0, 3:0 ისა (78ს.კ. 90ს.კ.)

ბედნიერი კაცი ყოფილა სამხრეთაფრიკელი პიერ ისა, ძალიან ბედნიერი. ის რომ კოლუმბიაში დაბადებულიყო, სტადიონზევე ორჯერ მოკლავდნენ.

ო, ბედი დიდი ხუმარა და ცინიკოსი რამაა. ოთხი წლის წინ, აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე საბრალო ანდრეს ესკობარმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და შინ, მშობლიურ მედელინში დაბრუნებულს, კაფეში ტყვია დაახალეს. წუხელ, ისამ ორი გოლი გაუტანა თავის მეკარეს...



ისას (21) უბედურება ამ პირველი ავტოგოლით დაიწყო

REUTERS მარსელიდან

კიდევ პიერ ისა იმიტომაა ბედნიერი, რომ ოცდაორი წლისაა და მთელი კარიერა წინ აქვს, თან ოჯახს, მოგეხსენებათ, რჩენა უნდა. საამისოდ კი კარგ კლუბში თამაშია საჭირო, ისეთში, როგორსაც დღეს ეკუთვნის და სადაც ალბათ დიდი პატივისცემით ჯერ კიდევ კარგა ხანს დაიტოვებენ. ეს ყველაფერი მოკლედ ასე ჟღერს: ისა მარსელის „ოლიმპიკის“ ფეხბურთელია, რომელიც წუხელ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე მათი ნაკრების წინაალმდეგ გამოდიოდა. გამოვიდა და მარსელის ქომაგობას ორჯერ მეტად შეაყვარა თავი.

ბედნიერია ისა, ბედნიერი. მან ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი. მსგავსი რამ არავის, არასდროს გაუკეთებია, ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ბედი ხუმარააო, ვთქვით. ხუმარაა, აბა რა, ის, რასაც ფრანგთა ნაკრების თავდასხმა ვერ ახერხებდა, მოწინაალმდეგის მცველს ორჯერ მოახერხებინა.

მასპინძელთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენზია აქვს და არცაა ურიგო გუნდი, მაგრამ თავდასხმა უთუოდ ვერ ჰყავს სათანადო. თავიდან, თამაში სტეფან გივარშმა დაიწყო, მაგრამ უფერული სირბილით დაგვამახსოვრა თავი და 35-ე წუთზე ტრავმა მიიღო. ემე ჟაკემ იგი კრისტოფ დიუგარით შეცვალა.

დიუგარი ის კაცია, რომელიც ჯერ „მილანის“ სათადარიგო სკამზე იჯდა, მერე „ბარსელონაში“ გადაჯდა და მხოლოდ მარსელის „ოლიმპიკში“ გადასვლის შემდეგ დაიწყო იმ თვისებების აღდგენა, ადრე, „ბორდოში“ რომ ჰქონდა.

დიუგარის გივარშზე მეტად გაუმართლა. შევიდა თუ არა მოედანზე, მარცხენა კუთხურიდან ზინედინ ზიდანმა დაასკუპა ბურთი თავზე, მანაც ივარგა, ახტა და თავურით ანგარიში გახსნა.

მეორე თავდამსხმელის ფუნქციას იური ჯორკაეფი ასრულებდა. ჯორკაეფი ვერც მთელი სეზონის მანძილზე ბრწყინავდა და ვერც მსოფლიოს პირველობის პირველ შეხვედრაში გამოიჩინა დიდად თავი. მხოლოდ მონდომება შეიმჩნეოდა, ხოლო იმ ჯორკაეფის, 1996 წელს თასების თასის ფინალში, „პარი სენ ჟერმენის“ შემადგენლობაში ვენის „რაპიდი“ რომ დაბღლვნა, ჩრდილილა იყო.

ტიერი ანრიმ მარჯვენა ჰაფბეკის ფუნქცია შეასრულა. თავიდან თითქოს ისე ეფექტურად ვერ თამაშობდა, მაგრამ ბოლოს, როდესაც აფრიკელებს დაღლა დაეტყოთ, ფრანგებმა კი ლამაზი გამარჯვების სურნელი იგრძნეს, ანრიმ სისწრაფეს უმატა და ოთხი-ხუთი მეტად შთამბეჭდავი რეიდი განახორციელა. ბოლოს „მონაკოს“ ახალგაზრდა ვარსკვლავმა გოლიც შექმნა, უფრო სწორედ კინაღამ გაიტანა. ისას თავგამოდებული ავტოგოლი რომ არა, ანრის დარტყმული ბურთი კარში შედიოდა.

დაცვა და ნახევარდაცვა ფრანგებს კარგი ჰყავთ. ამას, ფეხბურთში გათვითცნობიერებული კაცი წინასწარვე, მოთამაშეთა გვარების წაკითხვით მიხვდებოდა.

ამ გვარებს შორის, ბუნებრივია, ყურს ყველაზე მეტად ზიდანი ხვდება. წუხელ, ტურინის „იუვენტუსისა“ და ფრანგთა ეროვნული გუნდის გამთამაშებელმა იქნებ სასწაული ვერც ჩაიდინა, მაგრამ დიდი ჭაპანი სწია, დაცვასაც გვარიანად მიეშველა, პასებიც გადააწოდ-გადმოაწოდა და არც რამდენიმე ლამაზი ცრუმოძრაობა დააკლო თამაშს. მისმა იუვენტუსელმა თანაგუნდელმა დიდიე დეშამპმა კი, როგორც სჩვევია, ცხრა პირი ოფლი მოიდინა, გამრჯე მუშა კაცის სახელი არ შეირცხვინა.

სამხრეთაფრიკამ ბოლომდე ვერ გაძლო. ფილიპ ტრუსიეს მოთამაშეები ოსტატობითაც შესამჩნევად ჩამორჩებოდნენ ჩემპიონატის მასპინძლებს და გუნდობითაც, მაგრამ ვინ იცის, რომ არ გაბრაზებულიყვნენ, ვინძლო მინიმალური სხვაობით მაინც დამარცხებულიყვნენ.

ალსანიშნავია მატჩის კიდევ ერთი მოქმედი პირი, ბრაზილიელი არბიტრი მარსიო რესენდე დე ფრეიტასი. მან ფრანგებს ერთი გოლი არ ჩაუთვალა და სამი ყვითელი ბარათიც აღუმართა (სამხრეთაფრიკელთაგან ერთადერთი მოთამაშე გააფრთხილა), რაც მის პრინციპულობაზე მეტყველებს. ეტყობა, მეტისმეტად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მასპინძელთა სასარგებლოდ არაფერი მოემოქმედებინა და ეს გადაწყვეტილება ერთობ ხაზგასმით განახორციელა.

და მაინც, საფრანგეთის ნაკრებს რაღაც აკლდა. კარგ თავდამსხმელზე უკვე ვთქვით, მაგრამ კიდევ იყო სხვა რამ სასურველი. იქნებ მას ბურთის ფლობა და განაწილება ერქვა?! თუმცა, ნურც პირველი თამაშის ფაქტორს უგულებელვყოფთ. ნუ დავივიწყებთ, რომ სამფეროვანთა გუნდს ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს, მას საკუთარი კედლები უშლის ხელს. ხალხი გინდა თუ არა მსოფლიოს ჩემპიონობას ითხოვს, სხვა არაფრის გაგონება სურს და ხელმოცარვის შემთხვევაში ბიჭებს კი არა ამხნევებს, ლანძღავს. ვნახოთ, სავარაუდოა, რომ დიდი ანგარიშით გამარჯვება ჟაკეს ფეხბურთელებზე კარგ გავლენას იქონიებს და მომდევნო შეხვედრებში ისინი უფრო მშვიდად, საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი ითამაშებენ, ხოლო თუ ვერ შეძლეს, ვერაფრით გააჩუმებენ იმ სკეპტიკოსებს, რომლებიც ხელს ჩაიქნევენ და იტყვიან: საფრანგეთი არა, ისა.

**ილია ბაბუნაშვილი**

საფრანგეთი

16. ბარტეზი

3. ლისარასუ 8. დესაი 5. ბლანი 15. ტურამი

17. პეტი 10. ზიდანი 7. დეშამპი 12. ანრი

9. გივარში 6. ჯორკაეფი

6. მასინგა 17. მაკართი

12. ავგუსტინი 7. ფორტუნი 10. მოშოუ 4. ჯეკსონი

3. ნაიტი 19. რადებე 5. ფიში 21. ისა

1. ვონკი

ს. აფრიკა

შეცვლა: **გივარში — 21. დიუგარი (26), ავგუსტინი — 11. მკალელე (57), პეტი — 14. ბოგოსიანი (73), ჯორკაეფი — 20. ტრეზეგე (82), მაკართი — 9. ბარტლეტი (88)**

გაფრთხილება: **პეტი, ჯეკსონი, დეშამპი, ზიდანი**

მთავარი მსაჯი: **მ. რესენდე (ბრაზილია)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მატჩის შემდეგ

**ემე ჟაკე**, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ვიცოდით, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრები სერიოზულ წინაალმდეგობას გაგვიწევდა, მაგრამ ჩვენ დიდებული, ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ. ბიჭები ბრწყინვალედ გაისარჯნენ და მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. რაც შეეხება ჩვენს მოწინაალმდეგეს, იგი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი, თუმცა ის, რომ დღეს გავიმარჯვეთ, ჯერ კიდევ ბევრს არ ნიშნავს, წინ მთელი ჩემპიონატია.

**ფილიპ ტრუსიე**, სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცი: საფრანგეთს შესანიშნავი ნაკრები ჰყავს. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, მათი შეტევები ჩაგვეშალა და ინიციატივა ხელთ ჩაგვეგდო, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ფრანგები ბრწყინვალედ აკონტროლებდნენ ბურთს, დაცვაში უშეცდომოდ მოქმედებდნენ და თავდასხმაც მეტად შეხმატკბილებული ჰყავთ. მოკლედ, ეს არის ერთ მუშტად შეკრული, უმაღლეს დონეზე დაბალანსებული გუნდი. ამ თამაშის შემდეგ მივხვდი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, პირველ რიგში ეს დაცვას ეხება. დანიელებთან უძნელესი მატჩი გველის და თუ გვინდა მეორე ეტაპზე გასვლა, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი გვაქვს.

**დიდიე დეშამპი**, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი: ამ თამაშს ორი წელი ველოდით. მართლაც, დღეს ბიჭებმა შეუდარებლად ითამაშეს, რითაც პირველ რიგში სტადიონზე მოსულ თუ ტელევიზორებთან მსხდომ გულშემატკივრებს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. პირველ ტაიმში ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ მეორე ნახევარი დიდებულად ჩავატარეთ, მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს და დამსახურებულადაც მოვიგეთ.

**ზინედინ ზიდანი**, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი: ყველას გვინდოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი სტარტის აღება. ასეც მოხდა, ჩვენ სამი უპასუხო გოლი გავიტანეთ და გულშემატკივრებს დიდებული მატჩი, დიდებული დღე ვაჩუქეთ. დარწმუნებული ვარ, ფრანგ ხალხს დღეს ტკბილად დაეძინება. გოლების ავტორებზე შემდეგს ვიტყვი — კრისტოფ დიუგარიმ დაამტკიცა, რომ მოწინაალმდეგეთა კარის აღება მისი საქმეა, ხოლო ტიერი ანრი მართლაც ჩინებული ფეხბურთელია, საფრანგეთის ნაკრებს სჭირდება მისი დარი ახალგაზრდები.

**ტიერი ანრი**, მესამე გოლის ავტორი: „პირველი ბარიერი ღირსეულად გადავლახეთ. ნამდვილი მუშაობა და გარჯა ახლა მოგვიწევს. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, აღფრთოვანებული ვარ ბიჭების მონდომებით და შესრულების მაღალი დონით. ვარჯიშებზე ეს ყველაფერი გათვლილი გვქონდა, მაგრამ რეალურად საქმის კარგად გაკეთება სულ სხვაა. ბოლო მატჩის დასრულების შემდეგ, რომელიც „სტად ველოდრომზე“ ჩავატარე, ხალხმა სტვენით გამაცილა. თუმცა, ეს წყენა აღარც მახსოვს, რადგან იმედი მაქვს, ჩემი დღევანდელი თამაშით ყველა, ვინც კი მხარს გვიჭერდა, კმაყოფილი იქნება.



აფრიკული სამაია: ფრანგთა არაბი ზიდანი და სამხრეთაფრიკელები მოშოუ და ავგუსტინი (12)

REUTERS მარსელიდან

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. გივარშის უძლიერესი ჯარიმა კარს ოდნავ აცდა.

16. ისევ ჯარიმა, იმავე ადგილიდან, ოღონდ ზიდანის შესრულებით. ისევ აცდა.

28. ზიდანმა შესანიშნავი პასით დიუგარი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ თავდამსხმელის დარტყმული ვონკმა მოიგერია.

29. დეშამპმა ანრის ბურთი თავზე დაასვა, ესეც გაფრინდა, მაგრამ სანტიმეტრებით ააცილა.

34. ზიდანმა მარჯვნიდან კუთხური ჩააწოდა. დიუგარი ყველაზე მაღლა ახტა, მეკარესაც დაასწრო და შორეულ კუთხეში გაიტანა 1:0.

39. პეტიმ შორიდან მოსინჯა ვონკის საიმედოობა, მაგრამ აფრიკელმა იმარჯვა.

45. ისამ თავით დაარტყა, არაზუსტად.

52. დიუგარიმ მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა.

77. ლისარასუმ აუტი მიაწოდა, ბურთი დიუგარიმ მოიგდო. იფაფხურა, მერე ჯორკაეფი მონახა, ამას დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ ფრანგის შეცდომა ისამ „გამოასწორა“, მეკარეს დაასწრო და საკუთარ კარში შეაგდო 2:0.

80. ანრიმ ჯორკაეფს გადააწოდა. იურიმ კი ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

82. ისევ ანრი. ამჯერად თავად დაიწყო და დაამთავრა შეტევა, საბოლოო დარტყმა უზუსტო გამოდგა.

89. დიუგარიმ ზიდანს ვერ გაუგო, პარტნიორის პასს სხვაგან დაუხვდა და მომენტიც გაცუდდა.

89. კუთხურიდან დიუგარიმ ბურთი დეშამპს ჩააწოდა, ამანაც შეუჩერებლად დაარტყა, ვონკმა იყოჩაღა, ბურთი ისევ კუთხურზე გადააგდო.

90. კუთხური მსგავსადვე გათამაშდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: ბურთს ანრი დაეუფლა, მცველს ფეხებშუა გაუძვრინა და კარში დაარტყა. ისას თითქოს შეეძლო ბურთის კარიდან გამოტანა, მაგრამ ერთი ფეხით გაისწორა, მეორეთი შეაგდო 3:0.

# დედოფალმა უარი უთხრა მეფეს

მატჩი №6. 12 ივნისი. ლანსი. სტად ფელიქს ბოლერი. 38 140 მაყურებელი

## საუდეთი 0:1 დანია

0:1 რიპერი (68)

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „სტად ფელიქს ბოლერზე“ ხმაშეწყობილი სტვენა გაისმა. მსტვენელთა ამოცნობა ტელეეკრანიდან შეუძლებელია, რადგან რაც არ უნდა ახლოს გედგას ტელევიზორი, ქალაქი ლანსი, მაინც ძალიან შორსაა. ჩემი ფიქრით, ორივე ნაკრებს უსტვენდნენ და უსტვენდნენ ორივე ქვეყნის გულშემატკივრები. რა თქმა უნდა, უსტვენდნენ ის ფრანგებიც, რომლებმაც ჯერ კიდევ ზამთარში გადაიხადეს ბილეთის ფული.

ეს არც იყო გასაკვირი. მთელი პირველი ტაიმი მხოლოდ იმ ქომაგთა გულებს დაუახლოვდებოდა, ვისაც რვეულით უყვარს ტელევიზორთან ჯდომა და ყველაფერს არაჩვეულებრივი სიზუსტით ალნუსხავს. ასეთები კი, მოგეხსენებათ, ძალიან ცოტანი არიან. თუმცა, ეს თამაში იმასაც დააინტერესებდა, ვისაც იმგვარი კეთილგანწყობილი ხასიათი აქვს, რომ ყველასა და ყველაფერში მხოლოდ კარგის დანახვა სწადია.

აი მაგალითად, არის ქომაგი, რომელსაც მიქაელ ლაუდრუპი უყვარს, ხომ შეიძლება, რომ მავან გულშემატკივარს ისე უყვარდეს ეს ფეხბურთელი, რომ მის ყოველ მოძრაობას დიადი ვარსკვლავისად აღიქვამდეს და გამართლებას უძებნიდეს. პირველ ტაიმში ლაუდრუპმა ბურთს დაჰკრა და ბარე სამი მეტრით გადააცილა არაბთა კარს. ასეთ დროს კეთილგანწყობილი გულშემატკივარი ამბობს, ფეხზე ვერ მოაჯდა და რა ექნაო, ავადგანწყობილი გულშემატკივარი კი იტყვის, ლაუდრუპის დროება დასრულებულა და ეს თვითონაც კარგად იცისო. ძნელი დასამალია, რომ მეც ამ უკანასკნელის მხარეს ვარ უკვე ორ წელიწადზე მეტია. არავინ უარყოფს მის კლასსა და ოდინდელ სიდიადეს, მაგრამ მისი რეფლექსები, მისი სისწრაფე დაკარგულია და მახვილგონიერებითა და კლასით, მიქაელი ეგებ მეფეც იყოს „ჰერენვენთან“, მაგრამ იმას ზემოთ კარგა ხანია უჭირს ხოლმე.

ეჰ, ჩვენი ძველი დანია გვახსოვს...

ძველი საუდეთისა კი დაგვხსომებია ერთადერთი რამ — საიდ ალ-ოვაირანის მეირ წინა ჩემპიონატზე გატანილი გოლი და მისი სახელი — „უდაბნოს მარადონა“. თუმცა, „უდაბნოს მარადონა“ რომ კარგა ხანია აღარ არსებობს გუშინ საღამოსაც მშვენივრად გამოჩნდა, რადგან უსუსტესი ადგილი საუდელთა რიგში სწორედ ყოფილ „უდაბნოს მარადონასა“ და მის მეწყვილეს სამი ალჯაბერს ეპყრათ. უფროსი ლაუდრუპისა არ იყოს, საიდსაც გასჭირვებია.

თავიდანვე ისეთი თამაში მიდიოდა, რომ კაცი იფიქრებდა, დანიის დედოფალ მარგრეტე მეორესა და საუდეთის სახელოვან მეფე ფაჰდს მეგობრობის ხელშეკრულება დაუდევთ და ამის დასტურად (ქართველ-ოსთა გამოცდილების გაზიარებით) საფეხბურთო თამაში ჩაუტარებიათო. მაგრამ, როგორც გაირკვა, დედოფალს უარი უთქვამს მეფისთვის. გასწი-გამოსწი მის ქვეშევრდომებს ჯერ კიდევ მაშინ უსწავლიათ ნამდვილი ფეხბურთი, როცა ფაჰდის მამა, დიდი საუდი ჯერაც ყმაწვილკაცი იყო და ერრაიდის ციხესიმაგრის აღებით ახალი სამეფო — საუდეთი არ შეექმნა. ძველ ქომაგთაგანაც კი გამიგონია, რომ პაიჭაძის ხანაში არსებობდა დანიური დარყმა, ე.წ. „დაცკი უდარი“, რაც ზურგს უკან ჰაერში მქროლავ ბურთზე ქუსლის ამორტყმას გულისხმობს.

დანიელებმა გუშინ საღამოსაც რამდენიმე საუცხოო ქუსლური გვიჩვენეს. თითო მათგანი ბრაიან ლაუდრუპისა და ალან ნილსენისა იყო. საუდელებს ტექნიკას უქებენ ხოლმე, ამ შეხვედრის წინაც, მათი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა ამბობდა, როგორმე ჩემი ფეხბურთელების ტექნიკური ფანდებით გატაცებას ზღვარი უნდა დავუდოო. რა გითხრათ? დანიელები უფრო ტექნიკურებიც იყვნენ, უფრო ორგანიზებულებიც, მახვილგონიერებიც და მეტოქესაც სამგზის უფრო დაჯაბნიდნენ სიმწვავე და გაქანება რომ ჰყოფნოდათ.

ეგებ გუშინდელ მატჩში ბრაიან ლაუდრუპმა ხუთი ფუნტიც ვერ დაიმსახურა იმ 120 ათასიდან, კვირაში რომ უხდიან „ჩელსიში“, მაგრამ ამ შემპარავი, მოულოდნელი სტილის ფეხბურთელს აშკარად ეტყობოდა, რომ როგორღაც ვერ იყო იშტაზე. თუმცა, რა იშტაზეც იყო, ის საუდელებს აშკარად ეყოფოდათ. დანიელებს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ და ისე ჩანდა, რომ მათ მწვრთნელად ბო იოჰანსონი კი არა, ლენარტ იუჰანსონიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ მოიგებდნენ. მაგრამ მათ მაინც გამოუვიდათ რაღაცეები და თავიანთი კლასი და უკეთესობა მაინც აქციეს გოლად.

დანიელებს კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, თუმცა, ასე მომეჩვენა, რომ ამ ფეხბურთელთა სრულ უმრავლესობას არცთუ საუკეთესო სეზონი აქვს ზურგსუკან. საუკეთესოებად მცველები, მარკ რიპერი და მიჰაელ შონბერგი მომეჩვენენ. რიპერი დიაგონალზე სერავდა ხოლმე მოედანს და გამარჯვების გოლიც გაიტანა. შონბერგმა კი ჯარიმაც კარგად დაჰკრა და ისედაც კარგად ირჯებოდა. არც არის გასაკვირი: წლეულს, რიპერი „სელტიკთან“ ერთად გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, შონბერგმა კი „კაიზერსლაუტერნთან“ ერთად მოიგო ბუნდესლიგა. ასეა, კარგი სეზონი, კარგი ფორმა, კარგი სტიმული და მოტივაცია.

რაც შეეხება კარლოს ალბერტო პარეირას, გვარიანად მოსუქებულა. არაბეთში ამ კაცს ლამის აქლემებიც კი გაუწვრთნია, მაგრამ იქ პატივი არ რგებია. ის იმ 14 მწვრთნელს შორისაა, მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულს რომ ფლობს. მაგრამ საუდეთში ჯერ არ დაბადებულან რომარიო და ბებეტო და ამიტომ პარეირამ ვერანაირი სუპერსინქრონული თავდასხმა ვერ შემოგვთავაზა. ან კი რა სინქრონი უნდა ასწავლო ალ-ჯაბერსა და „უდაბნოს მარადონას“.

ამჯერად, პარეირასგან ჩემპიონობას არ უნდა ველოდოთ, თუმცა, თუ საუდებმა მაინც მოახერხეს და ჯგუფიდან გაძვრენ, რისი შესაძლებლობაც მათმა მწვრთნელმა საფრანგეთის მინდვრებზე კი არა, „ათას ერთი ღამის“ ზღაპრების წიგნში უნდა ეძებოს, პარეირას რომელიმე ძვირფას მანქანას მაინც აჩუქებენ.

დანიელების გამარჯვება კი უბრალოდ ჩემპიონატისთვისაც იყო კარგი, რადგან იქამდე ჩატარებული ხუთი თამაშიდან ოთხი ფრედ დასრულდა და ბულგარეთ — პარაგვაის უბადრუკი ფრეს შემდეგ რიპერის გოლმა ერთგვარად მაინც გამოაცოცხლა ფერდაკარგული საფეხბურთო საღამო.

დანიის ნაკრები კი ალბათ მოუმატებს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. აქ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბო იოჰანსონის გუნდმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი მერვედფინალისკენ, სადაც ბევრად უფრო ძლიერი გუნდი დაელოდება, ვიდრე ნავთობისა და უდაბნოს მეფის ქვეშევრდომთა თავგზააბნეულად მორბენალი კრებულია. ახოვან ებე სანდს, კიდევ უფრო ახოვან მორტენ ვიგჰორსტს და არანაკლებ ახოვან ტომას ჰელვეგს მაშინ უფრო მეტი ფხის გამოჩენა მოუწევთ.

**ირაკლი გამყრელიძე**

**საუდეთი**

1. ალ დეია

4. ზუბრამავი — 3. ალ ხილაივი — 13. სულიმანი

2. ალ ჯაჰანი

14. ალ მუვალიდი

7. ალ შაჰრანი — 16. ჰ. ალ ოვაირანი

6. ამინი

10. ს. ალ ოვაირანი — 9. ალ ჯაბერი

19. სანდი — 11. ბ. ლაუდრუპი

10. მ. ლაუდრუპი

21. იორგენსენი — 14. ვიგჰორსტი

12. კოლდინგი — 6. ჰელვეგი

2. შონბერგი — 3. რიპერი

4. ჰოგი

1. შმაიხელი

**დანია**

შეცვლა: ვიგჰორსტი — 7. ნილსენი (66), იორგენსენი — 8. ფრანდსენი (74), ამინი — 20. სალეჰი (79), ს. ალ ოვაირანი — 8. ალ დოსარი (79), ალ ჯაბერი — 15. ალ სინიიანი (84), ბ. ლაუდრუპი — 5. ჰაინცე (84)

გაფრთხილება: რიპერი, ვიგჰორსტი, ნილსენი, ალ მუვალიდი

მთავარი მსაჯი: ხ. კასტრილო (არგენტინა)




მარკ რიპერის შოტლანდიურ სეზონს ამაოდ არ ჩაუვლია — მისი ზუსტი თაურიც ამის დასტურია

### მატჩის შემდეგ

**ბო იოჰანსონი**, დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: გამარჯვება იმაზე გაცილებით ადვილად მოვიპოვეთ, ვიდრე თამაშის დაწყებამდე ვვარაუდობდი. პირველი ტაიმით განსაკუთრებით ნასიამოვნები დავრჩი. მთელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში მინდორზე მხოლოდ ერთადერთი გუნდი — დანიის ნაკრები ჩანდა. გამოგიტყდებით, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუ თამაში ასე გაგვიადვილდებოდა. თუმცა მეორე ნახევარში გატანილი გოლის შემდეგ ბიჭები რატომღაც მოეშვნენ და ჩემს დავალებებს ზედმიწევნით ზუსტად ველარ ასრულებდნენ. დარწმუნებული ვარ, შემდგომ შეხვედრებს გაცილებით უკეთესად ჩავატარებთ. ფეხბურთელები ერთმანეთს ძალიან კარგად უგებენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის გამოცდილება მაინც სულ სხვაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჯგუფური ტურნირის ბოლოსათვის ისინი კიდევ უფრო შეეწყობიან ერთმანეთს და მომდევნო ეტაპზე თამაში გაცილებით გაუადვილდებათ. ჩვენს მომავალ მეტოქეებს დიდად ვაფასებ. ვიცი, რომ ფრანგებსაც და სამხრეთაფრიკელებსაც საუცხოო შემსრულებლები ჰყავთ და მათთან პაექრობა ადვილი ნამდვილად არ იქნება.

**კარლოს ალბერტო პარიერა**, საუდეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ბიჭებმა უდიდესი თავდადება გამოავლინეს და ყოველგვარი შიშის გარეშე ითამაშეს, პირველ ტაიმში დაცვაში მოვიკოჭლებდით. შეტევის ორგანიზებაც გვიჭირდა და საერთოდ რაღაც ქაოტურად ვმოქმედებდით, მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნახევარში გადამწყვეტი გოლი გაუშვით, ჩემს ფეხბურთელების მისამართით ცუდს ვერაფერს ვიტყვი. გუნდმა საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი ანახა და მოთამაშეებს თამამად შეუძლიათ ამით იამაყონ. ჩვენ ისეთი ყაიდის გუნდებს მივეკუთვნებით, რომლებიც სწრაფ კონტრშეტევებზე უარს არ ამბობენ. მეორე ტაიმში დანიელებმა დიდი სივრცეები დაგვითმეს, მაგრამ სამწუხაროდ შანსი ვერ გამოვიყენეთ. მეტოქის საჯარიმოს მისადგომებამდე უპრობლემოდ მივდიოდით, თუმცა, როდესაც საბოლოო დარტყმაზე მიდგებოდა საქმე, ფეხბურთელები იბნეოდნენ და ბურთს მეტად უმისამართოდ გზავნიდნენ. დანიის ნაკრები საკმაოდ ტექნიკურია და პირველ ტაიმში მათთან პაექრობა მეტად გაგვიჭირდა. განსაკუთრებით დიდი უსიამოვნებები მათ ჰაერში შეგვიქმნეს. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ საუდეთი მეორე სართულზე წარმატებული თამაშით არასდროს გამოირჩეოდა. მთლიანობაში პირველი შეხვედრის კვალობაზე უკმაყოფილო არა ვარ და ვთვლი, რომ მთავარი მატჩები ჯერ კიდევ წინაა.“

**მიქაელ ლაუდრუპი**: „ნებისმიერი დონის ტურნირზე პირველი თამაშის მოგებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა გუნდმა ამ ურთულეს მატჩში გამარჯვება შეძლო. ეს შედეგი კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდება, თუკი დღემდე მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარებული შეხვედრების ანგარიშებს გადავხედავთ. ფაქტობრივად ხუთი თამაშიდან ოთხი ფრედ დამთავრდა, რაც უდიდეს დაძაბულობაზე მეტყველებს. მე კი ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან დღეს ეროვნული გუნდის მაისურით საიუბილეო მეასე შეხვედრა ჩავატარე. ასეთი დღეები მართლაც დაუვიწყარია.“

### მატჩის სტენოგრამა

18. ვიგჰორსტმა საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ებე სანდს თავით დაუგდო, მაგრამ მისი ახლოდან დარტყმული არაბთა კარს ასცდა.
33. ბრაიან ლაუდრუპმა საჯარიმოს მისადგომებთან იორგენსენს ბურთი ორ მცველს შუა გაუქრა, ამან კი ვერ ივარგა.
36. არეულობა საუდელთა საჯარიმოში. მიქაელ ლაუდრუპს ბურთი მკერდზე მოხვდა, გადმოვარდნილზე რიპერმა მეკარეს მოარტყა და რეალური საგოლე მომენტი დაკარგა.
42. ჰოგმა თავისი საჯარიმოს მისადგომებთან ალ ჯაბერი მოცელა. საიდ ოვაირანის დარტმულს კი მეკარე ძლივს დაეუფლა.
57. ვიგჰორსტმა მცველი ადვილად მოატყუა და საჯარიმოში მიანოდა, იქ კი იორგენსენის დროულ დარტყმას ალ დეია გადაელობა.
68. საჯარიმოში მყოფმა იორგენსენმა ბრაიან ლაუდრუპს გადააწოდა, არაბი მცველები პოზიციურად შეცდნენ და რიპერმა ბურთი კარში თავით გადაგზავნა.
77. შონბერგმა ჯარიმა მშვენივრად დაარტყა, ალ დეიას ბურთი ჯერ ხელიდან გაუვარდა, ხელმეორე ნახტომით კი მას დაეუფლა.
79. საჯარიმოში დანიელთაგან ეულად დარჩენილმა, შეცვლაზე შესულმა ნილსენმა დარტყმისას ვერ ივარგა, ბურთი საუდელთა კარს ოდნავ ასცდა.
83. ლაუდრუპებისა და ნილსენის სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა საჯარიმოში მყოფ კოლდინგს ქუსლით უპასა, მაგრამ ეს ჩაწოდებას უფრო ჰგავდა, ვიდრე კარში დარყმას.
25. მიქაელ ლაუდრუპმა შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ბურთი ალ დეიას კარს ასცდა.
30. ახლა უკვე ვიგჰორსტმა გაისროლა, მაგრამ მიზანმა მასაც უმტყუნა.

# ჩილავერტმა რა ჰქმნა

მატჩი №5. 12 ივნისი. მონპელიე. სტად დე ლა მოსონი. 35 500 მაყურებელი

## პარაგვაი 0:0 ბულგარეთი

მსოფლიოს ჩემპიონატი სამი დღის დაწყებულია. ეს ანგარიში რომ იწერება, ხუთი მატჩია ნათამაშევი და აქედან ოთხი, ბოლო ოთხი (!) ფრედ დასრულდა.

ვითომ უშელავათო ბრძოლას, გუნდების ძალთა გათანაბრებას უნდა მოვაწეროთ ამდენი ზავი? ვიცი, პარაგვაელი ხოსე ლუის ჩილავერტი ანაც კამერუნელი სერჟ კვეჩე ასე ფიქრობენ, როგორ იქნებოდაო მსოფლიოს ჩემპიონატი უჩვენოდ. ფიქრობენ, მაგრამ, აგერ მესამე მატჩზე მიხდება წერა და თავისთავად ბევრი ვერაფერიშვილი ბრაზილია — შოტლანდია სანატრელი გამხდომია.

რატომ ხდება ასე? მგონი, ბევრია 32 გუნდი, 64 მატჩი საიმისოდ, ფეხბურთი, ლაზათიანი თამაში რომ მეტი ვნახოთ, ვიდრე მარტო სირბილი და ბრძოლა.

შორს ნუ წავალთ, თამაშში, სადაც ექსტრავაგანტური მეკარე ჩილავერტი კარგახანს საჯარიმოს გარეთ ატარებდა, გოლი არ გასულა. ვერც იმას იტყვი, გუნდები ცდას აკლებდნენო, მაგრამ ცდაცაა და ცდაც. თავად ჩილავერტის საჯარიმო დარტყმისა და ხრისტო სტოიჩკოვის ძელსგარტყმული ბურთის გარდა სერიოზული ხიფათი, კაცს გოლის გარდაუვალობა რომ გეგრძნო, არც შექმნილა.

მატჩის პირველი წუთები შეხვედრის უგოლოდ დასრულებას არ მოასწავებდა. ბულგარელთა გამთამაშებელმა კრასიმირ ბალაკოვმა მოხდენილად კი დაჰკრა კარისკენ, მაგრამ ააცილა. ისე გამოვიდა, ბალაკოვს „მიმბაძველები" არ დაელია, ურიგდ არც მეკარეები მდგარან და — 0:0.

ბულგარეთის ნაკრები წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მერე გვარიანად გამოიცვალა. თუმცა, ბრინჯაოს პრიზიორები გუნდს მაინც მრავლად შემორჩნენ. ტრიფონ ივანოვი, ივაილო იორდანოვი, ზლატკო იანკოვი წინანდელზე უკეთ თუ თამაშობენ, თორემ უარესად ნაღდად არა. აი, სტოიჩკოვი და კოსტადინოვი კი მობერდნენ, ხრისტოს ძველი ჟინი კი შერჩენია, მაგრამ კარგა ხნის უთამაშებელს ქადილის ძალა ძველებურად აღარ შესწევს. ვერც ემილ კოსტადინოვმა გაუმართლა გუშინ მწვრთნელ ბონევს ჩანაფიქრი, შეცვლაზე, ცოტა ითამაშოს როგორც სჩვეოდა, ეგებ, ისევ გაიტანოსო.

ბულგარელთა საუკეთესო ფეხბურთელი ახლა ბალაკოვია. ბუნდესლიგის „შტუტგარტში" მოთამაშე ცენტრალურ ნახევარმცველს გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" წითელ წიგნში შესაყვანი



ეგროსს ზდრავკოვთან საჰაერო ბრძოლაშიც არაფერი გამოუვიდა

უწოდა. თანამედროვე ფეხბურთში მართლაც ცოტაა ასე გამოკვეთილი გამთამაშებელი, თავდამსხმელთა ასისტენტი, მაგრამ გუშინ კრასიმირიც მოისუსტებდა. ბალაკოვს პირველ ტაიმში თავში იდაყვი ჩასცხეს და გაუტეხეს, მაინც გააგრძელა თავშეხვეულმა თამაში, მაგრამ ჩვეულად აქტიური, სარგებლიანი ვერ იყო.

ხრისტო სტოიჩკოვსაც, გუშინ რომ ძელს გაარტყა, ისეთი ბურთი, ადრე ათიდან ცხრა მაინც გაჰქონდა, მაგრამ ახლა სხვაა. თავისი, მარცხენა ფრთიდან დაძრული სტოიჩკოვი ახლა აქტიური მსაჯთან კამათში უფროა, მეტწილად საქმის რჩევას უნდება, როცა ადრე ამას კარგ თამაშს უთავსებდა.



მორალესს ტრიფონ ივანოვმა დაასწრო და კარი გოლს გადაარჩინა

ბულგარელთა ძალა თითქოს მეორე თავდამსხმელი ლუბო პენევიცაა, მაგრამ ნაკრებში მისი კარგი თამაში, მართალი გითხრათ, ბოლოს როდის ვნახეთ, აღარც მახსოვს, „კომპოსტელას" ბომბარდირობა და და ესპანურ ლიგაში თამაში კი სულ სხვა რამაა.

გუშინ ბალკანელ შუახაზელთაგან ილიევი იცქირებოდა სხვებზე უკეთ, თუმცა მაინც სულ ეს იყო...

პარაგვაელები, თამაში მეტად დაბნელად რომ დაიწყეს, კარპეჯიანის შეცვლებმა გამოაცოცხლა. შეცვლებამდე ორგზის კარში დამრტყმელ კარდოსოს მხარი ვერავინ აუბა, მერე კი ხუან კარლოს ეგროსმა იაქტიურა და ბულგარელებს ინიციატივაც წაართვა.

და მაინც, პარაგვაელთაგან საუკეთესოდ ჩილავერტმა დაარტყა, ზდრავკოვმა კუთხურზე ბედად მოიგერია. ჩილავერტი არც ღამის მთელმინდვრიან, უგრძეს-უზუსტეს პასებს იშურებდა, მაგრამ, ჩანს, სამხრეთამერიკელთა გოლის გამტანი ისევ მათი მეკარე თუა.

ეს მატჩი მნიშვნელოვანი მაინც იყო. სულ არაფერს თითო ქულა მაინც ერჩივნათ გუნდებს, თუმცა მოგება ლათინებს მეტად სურდათ (შეცვლებით ხომ თავდასხმა გააძლიერეს) და შეეძლოთ კიდეც, არბიტრმა ნანკოვს ჩემპიონატის პირველი წითელი ბარათი რომ აუფრიალა. ეს იყო პირველი გაძევება ახალი წესის დარღვევისთვის, ბულგარელი მეტოქეს უკნიდან ვარდნაში ეუხეშა.

გაძევებამ პარაგვაელთ იმედი ჩაუსახა, რომ უპირატესობას გოლად აქცევდნენ, მაგრამ კანისამ ეგროსის პასი ვერ შეიშნოვა და მსაჯმაც დაინდო ბულგარელები — სამხრეთამერიკელთა საუკეთესო მოთამაშის, ხუანკარლოს ეგროსის დაჭერისთვის პენალტიც უნდა დაენიშნა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

პარაგვაი

1. ჩილავერტი
5. აიალა
10. აკუნია    11. სანაბრია
4. გამარა
19. მორალესი
16. ენსისო    21. კამპოსი
15. ბენიტესი    13. პარედესი
9. კარდოსო

9. პენევი    8. სტოიჩკოვი
6. იანკოვი    10. ბალაკოვი    11. ილიევი
2. კიშიშევი
5. იორდანოვი
4. ი. პეტკოვი    16. ნანკოვი
3. ტ. ივანოვი
1. ზდრავკოვი

ბულგარეთი

შეცვლა: **მორალესი — 20. კანისა (43), პენევი — 7. კოსტადინოვი (69), კარდოსო — 18. რამირესი (71), ილიევი — 18. ბორიმიროვი (80), კამპოსი — 7. ეგროსი (81),**

გაფრთხილება: **კამპოსი, ბენიტესი, სტოიჩკოვი, ივანოვი**
გაძევება: **ნანკოვი (89)**

მთავარი მსაჯი: **ა. რ. ელ საიდი (საუდეთი)**

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. კრასიმირ ბალაკოვმა შორიდან გაისროლა, ბურთი მცირედით ასცდა კარს.

3. ხრისტო სტოიჩკოვი საჯარიმოში მოცელეს, მაგრამ არბიტრმა აშკარად დაინდო სამხრეთამერიკელები.

13. ივანოვი სახიფათო ჯარიმას ურტყამდა. ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა და ჩილავერტს მიუგორდა.

14. ახლა უკვე პეტკოვი ურტყამდა სახიფათოდ და პენევს რომ ფეხი დაეხვედრებინა ალბათ ანგარიშიც გაიხსნებოდა.

28. პარაგვაელი აკუნიას მოჭრილ დარტყმას ზდრავკოვი აკრობატულ ნახტომში დაეუფლა.

35. სელსო აიალამ თავის საჯარიმოს მისადგომებთან შეცდომა დაუშვა, იქვე მდგომი ხრისტო სტოიჩკოვის ყუმბარისებური დარტყმული ძელმა აისხლიტა.

40. ტრიფონ ივანოვმა საჯარიმოდან სახიფათო დაარტყა, მაგრამ პარაგვაელთა მეკარე ჩილავერტმა უხერხული ნახტომით ცხრიანიდან ჩამოხსნა ბურთი.

41. ბენიტესი — ხორხე კამპოსი — კარდოსოს სამსვლიანი კომბინაცია და ამ უკანასკნელის დარტყმამ სანტიმეტრებში ჩაუფრინა ზდრავკოვის კარის მარჯვენა ძელს.

50. მიგელ ბენიტესს შეეძლო ეხეირა, მაგრამ მის დარტყმულს ბალკანელთა კაპიტანი ფეხით გადაეღობა.

54. ბულგარელთა საჯარიმოში კარდოსომ გამეტებით მოქნეული ფეხი ბურთს ააცილა. იქვე მდგომმა პარეგესმა ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ სამიზნე ვერ გაისწორა.

64. საჯარიმოში შეჭრილმა სტოიჩკოვმა საგოლედ უპასა პენევს, მაგრამ ლუბომ კარის ჩარჩოს მაგივრად ბურთი ღრუბლებში გაგზავნა.

71. საჯარიმოში მყოფმა ხორხე კამპოსმა სისწრაფეში დაჯაბნა კიშიშევი, მაგრამ ზდრავკოვმა დროულად დატოვა კარი და მდგომარეობა განმუხტა.

72. ჩილავერტმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა მსოფლიო, რომ მინდვრის მოთამაშეზე არანაკლებ შეუძლია ბრწყინვალედ შეასრულოს ჯარიმა, მაგრამ კოლეგას არც ზდრავკოვი ჩამორჩა და ცხრიანში მიმავალი ბურთი აკრობატული ნახტომით კუთხურზე გადააგდო.

73. ჩილავერტი ოდნავ წინ იყო გამოსული, ფლანგიდან ჩაკიდული სტოიჩკოვმა მიწაზე დაუშვებლად უძლიერესად დაარტყა, ბურთი გარედან მოხვდა კარის ბადეს.

88. ჩემპიონატზე პირველი გაძევებაც დაფიქსირდა. მსაჯმა უკნიდან უხეში თამაშისთვის ბულგარელ ნანკოვს დაატოვებინა მინდორი.

### მატჩის შემდეგ

**ხრისტო ბონევი**, ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. მთელი თამაშის განმავლობაში ვფლობდით უპირატესობას და ვალდებულიც კი ვიყავით, იგი გოლად გვექცია. ალბათ დამეთანხმებით, რომ მატჩის ბულგარეთის ნაკრების სასარგებლოდ დამთავრება უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა. შეტევაში გვქონდა გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველი მატჩის ჩატარება ყოველთვის განსაკუთრებულ მღელვარებასთანაა დაკავშირებული. ჩვენი უპირატესობა განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყო თვალშისაცემი, როცა კარის აღების რამდენიმე მართლაც ჩინებული მომენტი ვერ გამოვიყენეთ. დასანანია, მაღალი კლასის ფეხბურთელები ასეთ მომენტებს ქარს არ უნდა ატანდნენ. ვფიქრობ, მსაჯმა პირველ ნახევარში პარაგვაის კარში ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა — ხრისტო სტოიჩკოვი აშკარად მოცელეს.

**ცეზარ კარპეჯიანი**, პარაგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩემი აზრით, შეხვედრა მეტად სამართლიანი ანგარიშით დასრულდა. გუნდმა კარგად ითამაშა და ყველას დაანახვა, რომ ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ პარაგვაის კიდევ უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრობიან. მართალია, პირველ ტაიმში ინიციატივა დავთმეთ, მაგრამ მეორე ნახევარში სიტუაციის გამოსწორება შევძელით და მატჩის მიწურულს გამარჯვების გოლის გატანაც კი შეგვეძლო, თუმცა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ — ჩემმა ფეხბურთელებმა გადამწყვეტ მომენტში საგოლე პასის გაკეთება ვერ შეძლეს.

**ხოსე ლუის ჩილავერტი**: გუნდმა კარგად ითამაშა. ჩვენი უპირატესობა განსაკუთრებით მეორე ტაიმში გახდა საგრძნობი. პირველ ნახევარში საკმაოდ გაგვიჭირდა, რადგან ჩვენი ნაკრების ბევრი მოთამაშე გამოუცდელობის გამო ზომაზე მეტად ღელავდა. თუმცა შესვენებაზე ბიჭები დაწყნარდნენ და ამის შემდეგ შეცდომა აღარ დაუშვიათ. მიმაჩნია, რომ შეხვედრა მაინც უნდა მოგვეგო, რადგან უკანასკნელი 5 წუთი რიცხობრივ უპირატესობას ვფლობდით. მეტოქე გუნდში ხრისტო სტოიჩკოვს გამოვყოფდი. იგი მართლაც კარგი ფეხბურთელია. თუმცა ბულგარელებს დაფიქრება მართებთ, თუ როგორ გაისარჯონ მომავალში, რადგან ასეთი თამაშით არა მგონია, ჯგუფიდან გასვლა შეძლონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერარწივნი და სუპერსაშუალონი


სარბიელის არქივიდან

მართვე და არწივი — ტარიბო ვესტი და ბორა მილუტინოვიჩი

**მატჩი №8. ესპანეთი — ნიგერია. ნანტი $16^{30}$**

ბორა მილუტინოვიჩმა რომ ნიგერიის ნაკრების საჭე იპყრა, საყოველთაო აზრი იყო — სანაკრებო სპეციალისტი ბორა ნიგერიელთაგან ჯადო — გუნდს შექმნის და მსოფლიო ფეხბურთის დიადთ პირისპირ ეტყვის, ჩაიჩოჩეთ, სუპერარწივნი მოფრინავდნენო.

ბორას დიახაც უკეთებია გუნდები მექსიკაში, შეერთებულ შტატებსა და კოსტა რიკაში. ეს ღირსეული გუნდები იყო. ღირსეული საშუალო გუნდები, რომლებიც ხალხს ერთადერთი რამით აოცებდა — ნახეთ ამ უვიცებისგან მილუტინოვიჩს რა განათლებული გუნდი შეუკრავსო.

ეს ერთი საქმეა. მეორე საქმე კი ის გახლავთ, რომ დღეს უკვე განთქმული და რიგ შემთხვევებში გაზულუქებულ ნიგერიელ ვარსკვლავთაგან ისეთი გუნდი შეადგინო, თავისი ამბიციის დაკმაყოფილება რომ შეეძლოს. არადა, ნიგერიელებს უკვე აქვთ გვარიანი ამბიცია. ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიური ჩემპიონები არიან და დიდი და პატარა საკლუბო ტიტულებიც ბლომად მოუგროვებიათ.

თანაც, ნიგერიაში ნაკრების მწვრთნელობა ძნელი საქმეა. სწორედ რომ გუშინწინ გარდაცვლილ გენერალ სანი აბაჩას დიქტატორულ რეჟიმს თავგამოჩენის საქმედ სწორედ ფეხბურთი მიაჩნდა. პირსისხლიან გენერლებს ხომ სპორტით უყვართ ხალხის გულის მონადირება. მედიდური სახელი „სუპერარწივნიც“ რომელიღაც სამთავრობო კაბინეტში იშვა. ასე რომ, შავ გენერალთა უფროსობას ვერამწვრთნელი ვერ უძლებს. ასე გაიქცა ქვეყნიდან გასულ ჩემპიონატზე ნიგერიელთა გამბრწყინებელი ჰოლანდიელი კლემენს ვესტერჰოფი, ასე მიატოვა იქაურობა ასევე ჰოლანდიელმა ჯო ბონფჯკეემ, რომელმაც ოლიმპიური ოქრო მოაგებინა აფრიკელებს და ასე გაიპარა ბურკინა ფასოში ფრანგი ფილიპ ტრუსიე, რომლის ხელქვეითაც ნიგერიელებმა მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მოიგეს. შემდეგ ტრუსიე უფრო ცივილურ სამხრეთ აფრიკაში გადაბარგდა.

ახლაც, თამაშის წინაც, ნიგერიელთა ბანაკში არცთუ სიწყნარეა. რახან გენერალი სანი აბაჩა გარდაიცვალა, ნიგერიული ფეხბურთის მამებმა სთხოვეს ფიფას, დღევანდელი თამაშის წინ ჩვენი საყვარელი დიქტატორის ხსოვნისთვის წუთიერი დუმილით გვაცემინეთ პატივი თამაშის წინო. ფიფამ იუარა, ეგ სისხლისმსმელი კაცი იყო და დემოკრატიას ებრძოდა. თუ მის ხსოვნას გულიდან ვერ ამოიღებთ, შეგიძლიათ შავი სამკლაურები შეიბათ და ისე ითამაშოთო. ეს პოლიტიკური ამბავი უფროა, მაგრამ ასეთ ქვეყნებში ხომ ფეხბურთი გასაგიჟებლად ახლოა პოლიტიკასთან?

მეორე ამბავი „მონაკოელ“ ვიკტორ იკპებასია. წლეულს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად ცნობილმა იკპებამ ამასწინათ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდი, მას უქნარათა ბრბო უწოდა და მილუტინოვიჩიც აუგად მოიხსენია.

შემდგომში რა მოხდა, უცნობია, მაგრამ გუშინ იკპებამ საჯაროდ მოიხადა ბოდიში და განაცხადა: „ჩემი გულისწყრომა იმით იყო გამოწვეული, რომ ამხანაგებს უხეიროდ ვთამაშობდით. მწვრთნელი მოედანზე იშვიათად მიშვებდა და როცა მიშვებდა, სათამაშო პოზიციასაც კი არ მითითებდა ხოლმე. თანაც, პრესასთან ლაპარაკი სასტიკად მქონდა აკრძალული“. თუ იკპებას ბოდიშმა თითქოს ფსიქოლოგიური ვითარება უნდა გამოასწოროს ნიგერიელთა გუნდში, რომელსაც ბოლოჟამს დანიელ ამოკაჩი დაუშავდა.

„ჩვენ საზიზღრად ვითამაშეთ ამხანაგურები და ასტრონომიული ანგარიშით წავაგეთ, მაგრამ ახლა ბევრად უკეთესი განწყობა გვაქვს,“ — თქვა მილუტინოვიჩმა — „ჩვენ მთელს 90 წუთს ვითამაშებთ და ყველას დავუმტკიცებთ, რომ არაფრით ვართ ოთხი წლის წინანდელ გუნდზე უარესნი. პირიქით, ბევრით ვაჯობებთ კიდეც მას. რაც შეეხება ესპანეთს, საუცხოო გუნდია, მაგრამ არცთუ უნაკლო. ნაკლს კი მე კარგად ვუძებნი პასუხს“.

და რას ფიქრობენ „საუცხოო, მაგრამ არცთუ უნაკლო ესპანელები“?

საყოველთაო მოწმობით მათ საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად გადაუწყვეტიათ ის, რაც ზემოთ ნიგერიელებთან მიმართებაში ვარაუდის სახით ითქვა.

„ჩვენ სუპერსაშუალო გუნდს გვეძახიან“, — აცხადებს ესპანელთა გამჭრიახი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე — „არ დავმალავ და ესპანეთის ნაკრები მართლაც იყო ასეთი, მსოფლიოს ჩემპიონთა ზურგსუკან მდგომი. დღეს ჩვენ სხვა სინამდვილის დამტკიცებას შევეცდებით“.

ეს არ არის ხმამაღალი ნათქვამი. კლემენტეს არ სჩვევია აზრების უაპელაციო გამოთქმა. ჯგუფში ზომაზე მეტად უხერხული მეტოქეები ჰყავს, მაგრამ აბა როდის ყოფილა, ესპანელებს რომ ბრძოლისა შეშინებოდეთ?

მთავარი ფიგურები ამ გუნდში ლუის ენრიკე და 20 წლის რაულ გონსალესი არიან. ორივე ნაღდი ვარსკვლავია, ორივეს ძალუძს სასწაულის მოხდენა. აწ უკვე „ჩელსის“ მცველი ალბერტ ფერერი კი აცხადებს: „ჩვენ სიმშვიდე გვჭირდება. თუ მშვიდნი და კონცენტრირებულნი ვიქნებით, კოშმარებიც აღარ შეგვაწუხებს“.

რაც შეეხება ნიგერიას, კლემენტეს აზრით, უკეთესიც კია, რომ პირველი მატჩი სწორედ ოლიმპიურ ჩემპიონებთან აქვს.

„ეს ნამდვილი თამაში იქნება და არა გასეირნება“, — ამბობს კლემენტე — „როცა ჩემპიონატს ასეთ მეტოქესთან ბრძოლით იწყებენ, უკეთ ერთვები საქმეში და თავიდანვე სერიოზულად ხარ განწყობილი. რაც შეეხება ნიგერიას, ამ გუნდის თამაში ბარე თოთხმეტჯერ მინახავს და მათი ყველაფერი კარგად ვიცი, ასე რომ, სიტუაციას ვფლობ“.

მოკლედ, სუპერარწივები სუპერსაშუალოთა წინააღმდეგ. ეს მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული მატჩი იქნება. ვინ დათმობს?

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ესპანეთი: ანდონი სუბისარეტა; ალბერტ ფერერი, ფერნანდო იერო, მიგელ ანხელ ნადალი, სერხი; გილერმო ამორი, ხულენ გერერო, ლუის ენრიკე, რაული, კიკო, ალფონსო

ნიგერია: პიტერ რუფაი; ოგასტინ ეუავონი, სელესტინ ბაბაიარო, უჩე ოკეჩუკვუ, ტარიბო ვესტი; ფინიდი ჯორჯი, მუტიუ ადეპოჯუ, სანდი ოლისე, ჯეი ჯეი ოკოჩა, ნვანკვო კანუ, ვიქტორ იკპება

**ირაკლი გამყრელიძე**


სარბიელის არქივიდან

თურმე არწივები ნიგერიაშიც ბუდობენ

**მატჩი №9. კორეა — მექსიკა. ლიონი $19^{30}$**

# ეს მათი ბოლო შანსია

## მექსიკელები მეტოქის გაგუდვას აპირებენ

ჯერ კიდევ მაშინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა ჩატარდა და იოზეპ ბლატერმა მთელ ქვეყანას ამცნო ჯგუფების შემადგენლობა, სპეციალისტებისა თუ რიგითი გულშემატკივრებისათვის ცხადი შეიქნა, რომ E ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე გასვლის ურეალურესი კანდიდატები ჰოლანდიისა და ბელგიის ნაკრებები იყვნენ. აქედან გამომდინარე, დღევანდელი მატჩის მონაწილე გუნდებს ყველა აუტსაიდერებად მიიჩნევს და მერვედფინალში მათი ნახვა ძნელად თუ წარმოუდგენია ვინმეს. კაცმა რომ თქვას, ეს მოსაზრება რეალობას მოკლებული ნამდვილად არ არის, რასაც ნაწილობრივ თვით კორეისა და მექსიკის ნაკრებების ხელმძღვანელები და მათ საქომაგოდ საფრანგეთში ჩასული ფანებიც აღიარებენ. თუმცა ჩრდილოამერიკელებს, არც თუ ურიგო მიღწევებისა და სადღეისოდ ფიფას რეიტინგში საკმაოდ მაღალი პოზიციის გათვალისწინებით, სრული უფლება აქვთ, ჯგუფში პირველი თუ არა, მეორე ადგილის დაკავებაზე, მაინც იფიქრონ. ამისათვის კი მექსიკელებს დღევანდელ შეხვედრაში ჰაერივით სჭირდებათ სამი ქულა, რათა შემდგომში ბელგიელებთან, ანაც ჰოლანდიელებთან წარმატებული თამაშით მომდევნო ეტაპზე გასვლა დაიბევონ. გუნდის თავდამსხმელი ფრანსისკო პალენსიას განცხადებით, მექსიკელებს კორეელების გაგუდვა გადაუწყვეტიათ:

— რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამ შეხვედრაში გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ. ჩვენ არ ვაპირებთ შესაძლო ფრეს ვარიანტების განხილვას. შემდეგი თამაშები ჯგუფის ლიდერებთან გველის და ამიტომ დღეს სამი ქულა უეჭველად უნდა მოვიპოვოთ. მართალია, აზიელები კონტრშეტევის სპეციალისტები არიან, მაგრამ მექსიკამ იცის, თუ როგორ უნდა მოექცეს ასეთ გუნდებს. შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ყელში ვწვდებით კორეელთ და ჩვენს ნახევარზე გადმოსვლის საშუალებას მოვუსპობთ. ასე რომ, შაბათს მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი — მექსიკა ითამაშებს — ნამდვილად ვერ გაამტყუნებ ფეხბურთელს დიდი ამბიციების გამო, რადგან კორეის ნაკრებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ოთხი მსოფლიოს ჩემპიონატის უცვლელი მონაწილეა, ამ ხნის განმავლობაში ჩატარებული 10 მატჩიდან გამარჯვებისათვის ვერც ერთხელ მიუღწევია. ის კი არა, მათ ანგარიშზე, ორად ორი გასაცოდავებული ფრეა, რომლებსაც გუნდმა 1994 წელს მიაღწია. გახსოვთ ალბათ, ამრიკაში ჩასულმა კორეელებმა საწყის თამაშში ბოლო წუთზე გატანილი გოლით ესპანელებთან ქულა იხსნეს, ხოლო შემდეგ მათზე არანაკლებ ბოგანო ბოლივიასთან 0:0-საც გამოჰკრეს ხელი.

მექსიკელთა მთავარი მწვრთნელი მანუელ ლაპუენტე გაცილებით თავშეკავებულია და ცდილობს, თავისი გუნდის ძალები რაც შეიძლება რეალურად შეაფასოს.

— კორეელები ალბათ დაცვაში ჩადგებიან და ჩვენს დაჭერას კონტრშეტევებზე შეეცდებიან. ვიცით, რომ ასე იქნება, მაგრამ მექსიკას სხვა გზა არა აქვს. გუნდმა უნდა შეუტიოს, რადგან ამ თამაშში სხვაგვარად არ გამოვა. ჩვენ გავრისკავთ და ვნახოთ, იქნებ გაგვიმართლოს — ვინ, ვინ და ლაპუენტემ კარგად იცის თავისი ქვეშევრდომების ავან-ჩავანი. მართალია, კორეელებთან შეხვედრამდე ჩრდილოამერიკელები დიდ გულზე არიან, მაგრამ მწვრთნელს კარგად ახსოვს ის სუსტი თამაშები, მექსიკელებმა წინასასაფრანგეთო მოსამზადებელი ციკლის გავლისას რომ ჩაატარეს. ბოლო თვეებში მეტად არასტაბილურ გამოსვლას მაისში ნორვეგიელებთან 2:5 მარცხი დაემატა, ხოლო ეს „წარმატებული“ სვლა გერმანიის პირველი დივიზიონის „ვოლფსბურგთან“ 1:4 შერცხვენით დაგვირგვინდა.


სარბიელის არქივიდან

ხვანგ სუნ ჰონგის (მარჯვნივ) არყოფნა კორეელთათვის დიდი დანაკლისია

მართალია, წინასაჩემპიონატო მოსამზადებელი ციკლის საუცხოდ ჩატარებით ვერც კორეელები დაიკვეხნიან, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ბუმ კუნ ჩა არც თუ შეშფოთებული გამოიყურება.

— მოგეხსენებათ, საფრანგეთამდე ზედიზედ სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვასპარეზობდით და აქამდე გამარჯვება ვერაფრით მოგვეპოვებინა. ახლა სწორედ ის დროა, ჩვენთვის არასასურველ ტრადიციას ბოლო მოვუღოთ. ვფიქრობ, თუ შემდეგ ეტაპზე გასვლა გვსურს, დღეს სამი ქულა უეჭველად უნდა ავიღოთ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯგუფში ამაზე სუსტი მეტოქე აღარ შეგვხვდება.

კორეელები დღევანდელ მატჩში ვეტერან თავდამსხმელ ხვანგ სუნ ჰონგს მოისაკლისებენ, რომელსაც ადრე მიღებული მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა. ბუმ კუნ ჩას თქმით, ხვანგის არყოფნა სერიოზულად შეასუსტებს აზიელთა შეტევის ხაზს. ეს ფეხბურთელი გარდა იმისა, რომ წლების განმავლობაში კორეის ნაკრების ლიდერი იყო, კიდევ იმითაა გამორჩეული, რომ 1994 წელს ამერიკაში გერმანიის ნაკრებს შორი მანძილიდან მშვენიერი გოლი გაუტანა. ხვანგის არყოფნაში უმძიმესი ტვირთი 24 წლის ფორვარდ კო იონგ სოს დააწვება მხრებზე, რადგან დაშავებული თავდამსხმელის სავარაუდო შემცვლელი სეო იონგ ვონი საკმაოდ გამოუცდელია და მისგან რაღაც განსაკუთრებულ თამაშს ალბათ არ უნდა ველოდეთ.

აზიელების კიდევ ერთი დანაკლისი ნახევარმცველი ჩოი სუნგ იონგია, რომელიც გუშინ საწვრთნელი ვარჯიშისას მხოლოდ მსუბუქი დატვირთვებით შემოიფარგლა. გუნდის წარმომადგენლების განცხადებით, იონგს ფეხის კოჭი დაუშავებია და მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის, შაბათს შეხვედრაში ფეხბურთელის მინდორზე გამოსვლა მაინც დიდი კითხვის ქვეშ დგას.

კორეის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჩა, რომელიც თავისი ქვეყნის ღირსებას 1986 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იცავდა, მეტად იმედიანადაა განწყობილი, თუმცა იმის შიშიც აქვს, ვაითუ ჩემი ახალგაზრდა თანამემამულეები გამოუცდელობამ დაღუპოსო.

— 1995 წელს ჩვენი ნაკრები გაცილებით ძლიერი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული და ამიტომაც მოხდა, რომ ჯგუფურ ტურნირში მხოლოდ ერთი შეხვედრა წავაგეთ. წელს გუნდი უფრო ახალგაზრდაა და მართალია, ამ ბიჭებს გამარჯვების სულისკვეთებას ვერ წაართმევ, მაგრამ გამოცდილება ნამდვილად აკლიათ — ამბობს ჩა.

აი საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის „სტრასბურში“ მოთამაშე თავდამსხმელი სეო იონგ ვონი კი ცოტა არ იყოს მეოცნებე აღმოჩნდა. იგი თურმე კორეის ნაკრების შესაძლებლობებში ღრმად ყოფილა დარწმუნებული და არა მხოლოდ დღევანდელი მატჩის, არამედ უფრო მნიშვნელოვანი თამაშების მოგებაც უწინასწარმეტყველა.

— ვფიქრობ, 1994 წელთან შედარებით საგრძნობლად მოვუმატეთ. გუნდი კარგ ფორმაშია და დარწმუნებული ვარ, მეორე ეტაპზე გასვლა არ გაუჭირდება — ვონს, ალბათ კორეაშიც კი გაუძნელდება ისეთი ადამიანების პოვნა, რომლებიც ამ გამონათქვამს დაეთანხმებიან, მაგრამ ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ვნახოთ... იქნებ რა სიურპრიზს გვიმზადებს ეს აზიური გუნდი.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

მექსიკა: პერესი (ან კამპოსი), სანჩესი, კარმონა, ვილა, ტერაზასი, ბერნალი, პელაესი, ლარა, ბლანკო, გარსია, ერნანდესი

კორეა: კიმ ბიონგ ჯი, კიმ ტაე იანგი, ლი მინ სუნგი, ჰონგ მიუნგ ბო, ლი სანგ უნი, ლი სანგ იონი, კიმ დო ჰონი, იუ სენგ ჩუი, ჩოი სუნგ იონგი, ჩოი იონგ სო, სეო იონგ ვონი

**ირაკლი ხმელიძე**

# და რა შუაშია აქ მექსიკა?

**მატჩი №10. ჰოლანდია — ბელგია. სენ დენი 23[00]**

დღეს ჰოლანდიელი და ბელგიელი ფეხბურთელები სენ დენში, „სტად დე ფრანსის" მინდორზე, ცენტრალუ ხაზს აქეთ-იქით დადგებიან. გამოდის, რომ ფეხბურთი უფრო მკაცრი რამაა, ვიდრე პოლიტიკა, რადგან ორი მეზობელი ქვეყნის ხალხს ისეთი სასტიკი საზღვარი, როგორიც მოედანზეა, სინამდვილეში არ ჰყოფს.

მკითხველს, ვინც ჰოლანდიიდან ბელგიაში არასდროს გადასულა, უთუოდ ეყოლება ნაცნობი, რომელმაც ეს გზა გაიარა და შემდეგ მოუთხრო ამ ქვეყნებს შორის არსებული საზღვრის თავისებურების ამბავი. ამიტომ ჩემი მოგონება მისთვის უკვე გაგონილის დადასტურებალა იქნება, მაგრამ მაინც ვიტყვი: წლეულს, იანვარში ბელგიურ ქალაქ გენტში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრაზე რომ მივდიოდი, მანქანით ჰოლანდიის ერთი მონაკვეთის გავლა და ბელგიაში ასე შესვლა მომიხდა. სწორედ მაშინ ვნახე თავისებურება, რომელიც სულ ისაა, რომ სახელმწიფო საზღვარზე კაციშვილის ჭაჭანება არ არის. რალა სამტრედიიდან აბაშაში ჩასულხარ და რალა ჰოლანდიიდან ბელგიაში. აქაც ხიდია და იქაც. აქ კიდევ შეიძლება ხიდის გაღმა ინსპექტორი დაგიხვდეს, იქ ისიც არ დგას.

„სტად დე ფრანსზე" აბაშელი ინსპექტორივით იტალიელი მსაჯი, პიერლუიჯი კოლინა დადგება. კაი შვილი ხარ და წესი დაარღვიე. ამ თავგადაპარსულ, კოლორიტულ და უთუოდ გაწაფულ არბიტრს არაფერი გამოეპარება, არადა, მატჩი პრინციპულია და შესაძლოა, დარღვევებიც ხშირად იყოს.

ნუ დავიწყებთ ახლა გრძელ საუბარს იმაზე, თუ რატომაა ჰოლანდიელებისა და ბელგიელების შეხვედრა პრინციპული, ათასჯერ წაგვიკითხავს და ვიცით, რომ მხიარულმა ბედმა მეზობლები უამრავ შეჯიბრებაში დაატაკა ერთმანეთს, შესარჩევია თუ ფინალური ეტაპი, სადაც ბელგიაა, იქაა ჰოლანდიაც. ასე იყო მსოფლიოს წინა, 1994 წლის პირველობაზე, შემდეგ დღევანდელი პირველობის შესარჩევ ეტაპზე და ახლაც იგივე გრძელდება.

94-ში 25 ივნისს აშშ-ის ქალაქ ორლანდოში ბელგიამ 1:0 გაიმარჯვა. ეს იყო F ჯგუფის მატჩი (მეტოქეების ახლანდელ ჯგუფს E ჰქვია), რომლის ბედიც ფილიპ ალბერის მიერ 65-ე წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა. მართალია, ალბერმა გოლი შეაგდო, მაგრამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ბელგიელთა გოლკიპერმა მიშელ პრიუდომმა შეიტანა. პრიუდომი ოსტატურად იგერიებდა არა მარტო მხოლოდ მეტოქე თავდამსხმელთა, არამედ საკუთარ მცველთა დარტყმებსაც, ბოლო წუთზე კი ჰოლანდიელი ოვერმარსის გაწოლილი თაური თითის წვერებით გადააგდო ხარიხის მიღმა.

და მაინც, ოთხი წლის წინ, „სიტნუს ბოულზე" ბელგია გამარჯვებას იმსახურებდა. 65-ე წუთზე მარცხენა კუთხურიდან დეგრიზის ჩაწოდებულ ბურთს ალბერმა შორეულ ძელთან, კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

დღეს ვინ შეიძლება ვიხილოთ იმ მატჩის მონაწილეთაგან? ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ალბათ ძმები ფრანკ და რონალდ დე ბურები, მარკ ოვერმარსი და დენის ბერხკამპი (თუ შეძლო თამაში), ბელგიაში კი ფრენკი ვან დერ ელსტი, ბორკელმანსი და ლორენსო სტალენსი.

ერთიც გავიხსენოთ. 94-ის 25 ივნისს ბრაზილიელმა მსაჯმა მარსილიამ 6-ჯერ აღმართა ყვითელი ბარათი. დღეს იტალიელი კოლინა რას იზამს, ვნახოთ.

ეს რაც შეეხებოდა ბენილუქსის ძველ დერბის, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მას მერე გუნდები კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს და ბოლო ორ თამაშში ჰოლანდიელებმა მეზობლებს 6 გოლი გაუტანეს. 6 გოლის ამბავი საფრანგეთისკენ მიმავალ გზაზე შესარჩევი კამპანიის დროს მოხდა და ახლა, წესითა და რიგით, ბელგიის ნაკრებს შურისძიება უნდა სწყუროდეს.

რას დავარქმევთ შურისძიებას, მოგებას უშუალო დაპირისპირების დროს თუ საბოლოო ცხრილში ჰოლანდიელთა ჩამოტოვებას, ჩვენი გადასაწყვეტია. განა გამორიცხულია, ჰოლანდია — ბელგიის შეხვედრა ფრედ დასრულდეს?

მოკლედ, დღევანდელი შეხვედრის გარდა სხვაცაა საფიქრალი და ბელგიელთა თავკაცი ჟორჟ ლეეკენსი სწორედ ამ საქმით გახლდათ დაკავებული. მის გონებაში იხარშება ის, რაც ერთი კვირის შემდეგ უნდა მოხდეს.

„სულ ვიმეორებ: მექსიკა, მექსიკა, მექსიკა... სანამ კენჭისყრა მეტოქეთა ვინაობას დაგვიდგენდა, უკვე მექსიკის ნაკრებზე ვფიქრობდი. თუ ჩვენ მექსიკას და კორეას მოვუგებთ, მეორე ეტაპზე გავალთ, დანარჩენი კი წახალისებაა და მეტი არაფერი" — ამბობს ლეეკენსი.

ჰოლანდიელთა მწვრთნელი გუს ჰიდინკი სხვა ამბიციის კაცი გახლავთ. ის ცდილობს გულშემატკივარს დაუმტკიცოს, რომ მისი გუნდისთვის მეორე ეტაპზე გასვლა სულაც არაა ოცნების ზღვარი. ჰიდინკს გაცილებით შორს უჭირავს თვალი.

ბოლო ამხანაგურ შეხვედრებში, პარაგვაისა და ნიგერიასთან მოგებული ორი 5:1-ის მერე ჰოლანდიამ კამერუნთან 0:0 ითამაშა და ამან ჰიდინკს გული დაწყვიტა.

„ბელგიელებს გაცილებით ბასრი ეშვები აქვთ" — თქვა მან.

ალბათ ასეცაა. დღეს ბელგიის ნაკრები გაცილებით ძლიერია იმაზე, შესარჩევი ციკლის დროს რომ იყო. დაცვა შეუდარებლად მჭიდროდ თამაშობს, თავდასხმაში კი „ფიორენტინას" ლუის ოლივეირა და „ეინდჰოვენის" ლუკ ნილისი ბდღვინავენ.

„ვგრძნობ, ბიჭებს ჟინი მოემატათ, საკუთარ ძალებშიც მეტად არიან დარწმუნებულნი, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. უშიშრად ვიბრძოლებთ" — განაცხადა ნილისმა.

ნილისი და მისი თანაგუნდელები მოსაგებად ემზადებიან. ამბობს კიდეც ფორვარდი, ფრეზე ყურადღების გამახვილება შეიძლება დამღუპველი გამოდგეს.

მოგება უნდათ ჰოლანდიელებსაც, მაგრამ მათ შეტევაში ალბათ სიმწვავე მოაკლდებათ, რადგან დენის ბერხკამპი სკამიდან აპირებს მატჩისთვის თვალყურის დევნებას.

ბერხკამპი, მოგეხსენებათ, ექვსი კვირის მანძილზე ვერ თამაშობდა, დაშავებული იყო. ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელმა გუშინწინ გუნდთან ერთად კი ივარჯიშა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ალბათ არ გამოიყვანენ.

„ტკივილს აღარ ვგრძნობ... იქნებ შეცვლაზე შესასვლელად ვიყო კიდეც მზად, მაგრამ მთელ მატჩს ვერ გავწვდები" — თქვა მან.

დაცვაშიც აქვთ ჰოლანდიელებს პრობლემა. ამ კვირის დასაწყისში ფრანკ დე ბურმა კოჭი ამოიბრუნა და ითამაშებს თუ ვერა, ამ სტრიქონების წერის დროს ჯერ არ იყო გადაწყვეტილი. სამაგიეროდ, ჯანზეა იაპ სტამი. არც კლუივერტი და ოვერმარსი უჩივიან რამეს.

სხვათა შორის, ჰოლანდია გახლდათ ბოლო გუნდი, რომელიც საფრანგეთში ჩავიდა, ხოლო ბელგია... გადახოტრილია.

დიახ, ბელგიელთა მოთამაშეებმა თავი გადაიხოტრეს, დალაქად კი საკუთარი მეკარე ფილიპ დე ვილდე ჰყავდათ.

„საბედნიეროდ, გაცილებით უკეთესი მეკარე ვარ, ვიდრე დალაქი" — განაცხადა დე ვილდემ, როდესაც მისი კეპჩამოფხატული თანაგუნდელები ავტობუსში ადიოდნენ.

„რა კარგი ყოფილა თავის გადახოტვრა. ჟელე აღარ მჭირდება. არადა, ადრე ძალიან ბევრს ვხმარობდი. ამიერიდან ფული დამეზოგება" — იხუმრა მცველმა ერიკ ვან მეირმა.

„გუშინ ძალიან წვიმდა, ასე რომ, ალბათ, მალე მომბეზრდება" — თქვა მიკ ვერსტრაეტენმა.

გარემარბი დენი ბოფინი უკმაყოფილო იყო, მოლაპარაკების თანახმად, დე ვილდეს სამი მილიმეტრი თმა უნდა დაეტოვებინა, მაგრამ რამდენიმესთან ვერ მოზომაო...

„ძალიან მოკლეა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვარცხნილობაზე ტვინის ჭყლეტა აღარ მომიწევს" — ამოისუნთქა მარკ ვილმოტსმა.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, რაიციგერი (ან ვინტერი), სტამი, ფ. დე ბური (ან ბოგარდი), ნუმანი, რ. დე ბური, კოკუ, ზეედორფი, ოვერმარსი, კლუივერტი, ჰასელბაინკი

**ბელგია:** დე ვილდე, კრასონი, სტალენსი, ვიდოვიჩი, ბორკელმანსი, ვან დერ ელსტი, კლემენტი, ვილმოტსი.

სარბიელის არქივიდან



ძველი შეურიგებელი და, როგორც ბოლო დროს ირკვევა, ოფიციალურ ტურნირებში დაუშორებელი მეტოქეები ჰოლანდიელები და ბელგიელები, რაღა თქმა უნდა, წინა მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ბელგიელებმა გაიმარჯვეს — 1:0. ალბერს (მარცხნივ) ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გააქვს


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ივნისი | | | |
| ესპანეთი — ნიგერია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კორეა — მექსიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ჰოლანდია — ბელგია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 14 ივნისი | | | |
| იუგოსლავია — ირანი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| არგენტინა — იაპონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| იამაიკა — ხორვატია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 1:0 | 2,9 | 3,2 | 1,8 |
| 15 ივნისი | | | |
| ინგლისი — ტუნისი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| რუმინეთი — კოლუმბია | 2,0 | 2,9 | 3,5 |
| გერმანია — აშშ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| 16 ივნისი | | | |
| შოტლანდია — ნორვეგია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ბრაზილია — მაროკო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17 ივნისი | | | |
| ჩილე — ავსტრია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| იტალია — კამერუნი | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჩემპიონი (ფინალში გასვლა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 4,0 | (2,0) | ბულგარეთი | 75,0 | (40,0) |
| გერმანია | 4,0 | (2,0) | ავსტრია | 100,0 | (50,0) |
| საფრანგეთი | 5,0 | (3,0) | აშშ | 100,0 | (50,0) |
| იტალია | 5,0 | (3,0) | პარაგვაი | 100,0 | (50,0) |
| ინგლისი | 6,0 | (3,0) | კამერუნი | 200,0 | (100,0) |
| არგენტინა | 10,0 | (5,0) | ს. აფრიკა | 200,0 | (100,0) |
| ჰოლანდია | 15,0 | (7,0) | მაროკო | 200,0 | (100,0) |
| ესპანეთი | 15,0 | (7,0) | ტუნისი | 500,0 | (250,0) |
| იუგოსლავია | 25,0 | (15,0) | კორეა | 500,0 | (250,0) |
| ნორვეგია | 25,0 | (15,0) | იამაიკა | 500,0 | (250,0) |
| ნიგერია | 50,0 | (25,0) | საუდეთი | 1000,0 | (500,0) |
| ხორვატია | 50,0 | (25,0) | ირანი | 1000,0 | (500,0) |
| რუმინეთი | 50,0 | (25,0) | იაპონია | 1000,0 | (500,0) |
| დანია | 50,0 | (25,0) | | | |
| კოლუმბია | 50,0 | (25,0) | | | |
| ბელგია | 75,0 | (40,0) | | | |
| ჩილე | 75,0 | (40,0) | ბომბარდირი | 5,0 | |
| შოტლანდია | 75,0 | (40,0) | ანგარიში | 5,0 | |
| მექსიკა | 75,0 | (40,0) | | | |

**ფინალში გასვლაზე შეიძლება გადამრავლდეს ორი გუნდის კოეფიციენტი**

### ჯგუფში პირველი ადგილი

(ფრჩხილებში ჯგუფიდან გასვლა)

| | | |
|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | |
| ბრაზილია | 1,05 | (—) |
| ნორვეგია | 5,0 | (1,8) |
| შოტლანდია | 15,0 | (2,5) |
| მაროკო | 30,0 | (2,5) |
| **E ჯგუფი** | | |
| ჰოლანდია | 1,3 | (1,05) |
| ბელგია | 4,5 | (1,4) |
| მექსიკა | 6,0 | (2,0) |
| კორეა | 50,0 | (5,0) |
| **F ჯგუფი** | | |
| გერმანია | 1,2 | (1,01) |
| იუგოსლავია | 3,0 | (1,05) |
| აშშ | 50,0 | (3,5) |
| ირანი | 100,0 | (10,0) |
| **G ჯგუფი** | | |
| ინგლისი | 1,3 | (1,01) |
| რუმინეთი | 4,0 | (1,5) |
| კოლუმბია | 7,0 | (1,8) |
| ტუნისი | 75,0 | (8,0) |
| **H ჯგუფი** | | |
| არგენტინა | 1,4 | (1,01) |
| ხორვატია | 2,5 | (1,1) |
| იამაიკა | 75,0 | (6,0) |
| იაპონია | 75,0 | (6,0) |

### რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში?

| | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 2,0 | 2,0 |
| ჰოლანდია | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 2,0 | 2,0 |
| გერმანია | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 50,0 | 15,0 | 8,0 | 4,0 | 1,8 | 1,6 |
| ინგლისი | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,8 |
| არგენტინა | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 25,0 | 10,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,6 |

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# მათ უნდა ენდონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რობერტო, რომელსაც არ ენდობოდნენ

...1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა. ლოს ანჯელესის „როუზ ბოული“, ფინალური მატჩის სარბიელი გაჭედილია. იქაურობას ბული ასდის. უკვე ორმა საათმა განვლო, მაგრამ მაყურებლებმა გოლი ვერ იხილეს — არც ძირითადმა დრომ მოიტანა შედეგი, არც დამატებითმა. ტაბლოს თითქოს შეეყინაო ორი ნული. გულშემატკივრები, არა მარტო იქ მყოფნი, არამედ ტელევიზორს მიჯაჭვულნიც, გარინდულან. ჯერი ლატარიად წოდებულ პენალტების სერიაზეა. ცოტა არ იყოს, საწყენია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი პენალტებმა უნდა გამოავლინონ, მაგრამ როცა თავს ზემოთ ფიფაა, სხვა რა გზაა — კანონს უნდა დაემორჩილო.

ბურთს პირველად „სკუადრა აძურას“ კაპიტანი ფრანკო ბარეზი უახლოვდება — დარტყმა მცდარია. ვერც ბრაზილიელმა მარსიო სანტოსმა გაიტანა. მერე კარიც ნებდება მოთამაშეებს და პენალტებიც გადის, სერიის დასასრულისკენ კი დანიელე მასაროს უიღბლობა მთელს იტალიას და საერთოდ დედამიწის ამა თუ იმ ქვეყანაში გაბნეულ აპენინელთა გულშემატკივრებს ზაფრავს. რჩება ერთადერთი იმედი იმისა, რომ თასისკენ მიმავალ გზაზე ფეხმოცურებულმა იტალიამ სვლა გააგრძელოს — რობერტო ბაჯომ კარიერაში ალბათ უმნიშვნელოვანესი გოლი უნდა გაიტანოს. გამორბენი, დარტყმა... და ოქროს თასი მეოთხედ გადაეცემა ბრაზილიას. იტალიას ხელი მოეცარა, ბაჯო კი შოკშია.

— იმ პენალტმა ჩემი კარიერა ძირფესვიანად შეცვალა. ნაკრებიდან გამომაგდეს. დიახ, გამომაგდეს, რადგან მიუხედავად აცილებული პენალტისა, მე ნამდვილად არ ვიყავი ისეთ ფორმაში, მწვრთნელთა ნდობა ვერ გამემართლებინა. ეროვნული გუნდის თავკაცებმა უარყვეს რობერტო ბაჯოს სახელი. მაშინ თავი ეულად ვიგრძენი. ძალიან დამწყდა გული. თუმცა სულით მაინც არ დავცემულვარ. ვიცოდი, რომ ნაკრებში დაბრუნების უნარი შემწევდა — რობერტო ბაჯოსთვის კი არა, იტალიელთა ქომაგთათვისაა ის მომენტი უსიამოვნო გასახსენებელი. თავად ფეხბ-ურთელს რომ გული სტკიოდეს, რა გასაკვირია.

იმ ვერგატანილი პენალტის შემდეგ დაიწყო ბაჯოს სანაკრებო კარიერის დაღმასვლა, თუმცა რწმენის წყალობით ბუდისტი მოთამაშე „სკუადრა აძურას“ მაინც დაუბრუნდა. და თან როგორ!

საკის იტალიის ნაკრებიდან წასვლისთანავე დაიწყო საუბარი ფეხბურთელის ნაკრებში დაბრუნებაზე, მაგრამ საქმით არაფერი კეთდებოდა. ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად მოღვაწეობის მეოთხე თვეს ჩეზარე მალდინიმ რობერტოს წადილი აუსრულა — ნაკრებში დაუძახა. ფეხბურთელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადში არ გაამწესეს, ის მატჩი პოლონელებთან შესანიშნავად ითამაშა, გოლიც შეაგდო. თითქოს ყველაფერი კარგად უნდა წარმართულიყო, მაგრამ საფრანგეთის ოთხთა ტურნირის წინ რობერტომ ტრავმა მიიღო და გუნდს კვლავ გამოაკლდა. ბაჯომ კვლავ გადაუხვია ნაკრებისკენ მიმავალი ბილიკიდან, თუმცა მიხვდა, რომ იმ გზაზე დგომა; რომელიც „სკუადრა აძურამდე“ არ მიიყვანდა, არად არგებდა და ხრამს მიახლოვებული უკან გამობრუნდა. გაივლის თვეები. ბაჯო ნაკრებში კიდევ ერთ შეხვედრას ითამაშებს, თუმცა გუნდში ადგილს მაინც ვერ იმკვიდრებს.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე სულ უფრო მცირე დრო რჩებოდა, ჩეზარე მალდინი კი „ბაჯოს საქმეს“ ნათელს მაინც არ ჰფენდა. დიდხანს ბჭობდა მწვრთნელი რობერტოს გუნდში ჩართვაარჩართვის თაობაზე, ბოლოს კი, დიდხანს იფიქრა, თუ ცოტა, გადადგა ნაბიჯი, რომელსაც თავად უწოდა სარისკო. მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღესვე ჩეზარე მალდინის ნდობით აღჭურვილმა ფეხბურთელმა ანუ რობერტო ბაჯომ მწვრთნელს დაუმტკიცა, რომ მას არათუ არ გაურისკავს, ძალიან მართებული, დროული ნაბიჯი გადაუდგამს.

„მხსნელი გუნდშია. რობერტო კვლავ იტალიელთა გულია“ — წერდა გუშინ მილანური „სტამპა“ და არც ცდებოდა — ჩილელებთან იტალიელები უეჭველად დამარცხდებოდნენ, რობერტო რომ არ ჰყოლოდათ.

„რობერტო — კეთილი ჯადოქარი, რომელსაც მუდამ უარყოფენ“ — არც ტურინში გამომავალი „ტუტოსპორტი“ მალავდა ექსიუვენტუსელი თავდამსხმელით აღფრთოვანებას. გეხილა იტალიელთა მე-18 ნომრის თამაში ჩილელებთან და არ აღფრთოვანებულიყავი, უბრალოდ, შეუძლებელი გახლდათ.

„რომ არა იგი, ჩვენ ისინი გვძლევდნენ“ — არ ვიცი, შეგნებულად გამოიყენა „გაძეტა დელო სპორტმა“ ნაცვალსახელი „იგი“, თუ არა ვერ გეტყვით, მაგრამ მასში რობერტოს რომ გულისხმობდა, ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

ეს იტალიური გაზეთები აქებდნენ აწ უკვე ინტერელ ბაჯოს, მაგრამ იტალიელთა მხსნელს არც უცხოური პრესისგან მოჰკლებია ქება. მაგალითად, იტალია — ჩილეს მატჩზე მთხრობელი ფრანგული პრესა ერთსულოვნად მიიჩნევდა, რომ აპენინელებს ცოტა მეტი შემართებით რომ ეთამაშათ, ჩილეს დაამარცხებდნენ, მაგრამ ბაჯო რომ არ ჰყოლოდათ, მოგებაზე ვერც იოცნებებდნენ.

რა, განა ფრანგები ტყუიან? გარდა შეგდებული გოლისა და საგოლე პასისა, რობერტომ მეორე ტაიმში ინძაგის მეტად ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა, რომელიც ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა. დი მატეო ტაპიასთან პირისპირ დატოვა — გოლი კვლავ არ გავიდა. შეხვედრის მიწურულს მეტად სახიფათო ჯარიმა დაარტყა. ერთი სიტყვით, აკეთა ყველაფერი ის, რამაც მოხიბლა გულშემატკივრები.

...ბორდოში შეხვედრის დასრულების შემდეგ, ცხადია, ჩილელი და იტალიელი ტორსედორესები თუ ტიფოზები ქალაქს მოედვნენ. გათენებამდე ხარობდნენ გულშემატკივარნი. იტალიელთა „მილანის“ მაისურგადაცმული ქომაგი კი, მიუხედავად იმისა, რომ რობერტო სწორედ მისი საყვარელი კლუბის დაუძინებელ მტერ „ინტერში“ გადაბარგდა, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა — რობერტო, რობერტოს!

— ისინი მენდნენ. უბრალოდ არ შემეძლო მათთვის მემტყუნა. დაუშვებელი იყო გული გამეტეხა ადამიანებისთვის, რომლებსაც ასე ვუყვარვარ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში აცილებული პენალტი სამუდამოდ ამოვილე მეხსიერებიდან. ის წარსულია, რომელსაც ველარ შევცვლი. წინ კი მომავალია, რომელიც ისე უნდა გავიარო, უკან რომ მოვიხედავ, რაიმეს შეცვლის სურვილი არ გამიჩნდეს — ეს სიტყვები რობერტომ გუშინ განუცხადა იტალიის ტელევიზიას, უფრო სწორედ ტელევიზიის საშუალებით ხალხს, რომელიც მას ეთაყვანება.



ოჯახი — რობერტოს ყველაზე დიდი გულშემატკივარი

## მარსელო, რომელსაც ენდობიან

ის გაისად „ლაციოში“ ითამაშებს. იგი უამრავ იტალიელ მცველს თავსატეხს გაუჩენს. ბევრ აპენინელ მეკარეს დაამწუხრებს, თუმცა ხუთშაბათს, მიუხედავად იმისა, რომ სერია A-ს მორიგი სეზონი ჯერ არ დაწყებულა, უკვე შეუდგა იტალიელთა დაწიოკებას.

B ჯგუფის პირველ მატჩში ჩილელმა ივან სამორანომ იტალიელებთან მატჩში ორი გოლი გაიტანა. პირველი იტალიელი მეკარეც დაამწუხრა და პირველ იტალიელ მცველსაც გაუშრო სისხლი.

— მარსელომ საუცხოოდ ითამაშა, იგი შეუდარებელი გახლდათ. მან დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის თავდამსხმელია. ამ მატჩში მას შეცდომა არ დაუშვია. მაშინაც კი, როცა იტალიელნი გვიტევდნენ, მარსელო ბრწყინვალედ არჩევდა პოზიციას. იგი იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ნდობაც შეიძლება. ჯერ არ მომხდარა, მას ნდობა არ გაემართლებინოს. იმედია მას არც შემდგომში ექნება ჩავარდნა — ასე შეაფასა ჩილელთა ურუგვაელმა თავკაცმა ნელსონ აკოსტამ ნაკრების უპირველესი თავდამსხმელი.

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს — ჯერ კიდევ შესარჩევ ტურნირში, როცა ივან სამორანო დაიმტვრა და გუნდს პრინციპული თამაშები ელოდა, ლიდერობა სალასმა იკისრა და ჩილელები ახეირა — გადამწყვეტი შეხვედრები მოაგებინა. ამ გამარჯვებებმა მათ 32-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოუტანა.

— მცველისთვის არაფერია იმაზე უკეთესი, თუ იგი უმაღლესი დონის თავდამსხმელს ეთამაშება. მართალია, სალასთან ორთაბრძოლა ცოტა არ იყოს გამიჭირდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავრჩი. მარსელო მართლაც ძალიან ძლიერი თავდამსხმელია. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ვარსკვლავი. მერწმუნეთ, ჩვენს ჩემპიონატს მისი სახით კიდევ ერთი გოლიადორი შეემატება — ასე დაახასიათა „სკუადრა აძურას“ მარჯვენა მცველმა ფაბიო კანავაროს ჩილელი მეტოქე, მიუხედავად იმისა, რომ მისი განეიტრალება ვერ შეძლო.

პალიუკას კარში გატანილი ორი გოლის წყალობით „ელ მატადორი“ (სალასის მეტსახელია) ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერად იქცა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თავდამსხმელი შესანიშნავ ფორმაშია და არც ნაკრებაა ურიგო, არაა გამორიცხული, ჯერჯერობით არგენტინული „რივერ პლეიტის“ ფორვარდმა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვოს.

## დენილსონი, რომელსაც უნდა ენდო

„ზაგალოს თავში ტვინისძვრა მოხდა. მწვრთნელს ჭკუა გადაუტრიალდა!“ — ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის მიმომხილველმა ბრაზილიელთა თავკაცი მარიო ლობო ზაგალო სასტიკად გააკრიტიკა შოტლანდიელებთან მატჩში ნაკრების გაუგებარი ტაქტიკით თამაშის გამო. საინტერესოა, რამ გამოიწვია ფრანგ ჟურნალისტთა ასეთი აღშფოთება? — არც მეტი, არც ნაკლები, გუნდის ძირითადში დენილსონისთვის ადგილის ვერგამონახვამ. ფრანგებს ერთი წლის წინ, ოთხთა ტურნირის მონაწილე ბრაზილიის გუნდის ახალწვეული ძალიან დაამახსოვრდათ და არ დაეთანხმნენ ზაგალოს იმაში, რომ მან ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ახალგაზრდა ჭაბუკს ოდენ სახელშერჩენილი ბებეტო ანაცვალა. ზაგალოს რონალდოს პარტნიორად დენილსონი უნდა გაემწესებინაო — წერდნენ



მწვრთნელი მარსელო სალასს ენდო და მანაც გაამართლა

სხვა გაზეთებიც და ერთი შეხედვით მათი აზრი მართალიცაა — სქოთებთან მატჩში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი ძლიერი, მიუხედავად იმის, რომ შეცვლაზე შევიდა, დენილსონი გახლდათ. ძირითადში მყოფ ბებეტოს და რივალდოს კი ბევრი არაფრით გამოუჩენიათ თავი.

— კარგად ვთამაშობდი და ძალიან მეწყინა, მწვრთნელმა რომ გამომცვალა. არავის და მათ შორის მეც, არ უყვარს, როცა გცვლიან — ბებეტოს მატჩისშემდგომი აზრი მიუთითებს იმაზე, რომ ზაგალოს მოქმედებამ იგი აღაშფოთა.

საინტერესოა, რას ეძახის ბებეტო კარგ თამაშს? ნუთუ მხოლოდ იმას, რომ წინ და უკან დარბის და სამ-ოთხ მეტრში მყოფ თანაგუნდელს ზუსტ პასს აწვდის? ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო, მაგრამ განა ბებეტოს სქოთებთან მოქმედებას ვინმე, ვისაც თვალში სინათლე აქვს დადებითად შეაფასებდა? — 20 წლის დენილსონი ჭარმაგ (ცხადია ფეხბურთისთვის) ბებეტოს ერთი თავით სჯობდა.

„სამწუხაროა როცა ადამიანს მსოფლიოს ჩემპიონთა გუნდი აბარია და გაურკვეულ, ხშირ შემთხვევაში კი თვალშისაცემ ნაკლს ვერ ხედავს. ზაგალოს, ეტყობა, იმდენად წაერთვა თვალის ჩინი, რომ იგი ჩონჩხად ქცეულ ფეხბურთელებს ვერ ამჩნევს“ — სან პაულუს გაზეთი „ოსტერო გლობო“ ნაკრების მწვრთნელის მიმართ უაღრესად კრიტიკული გახლდათ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა.

„დროა, გუნდი გაახალგაზრდავდეს. სახელოვან, მაგრამ წელმოწყვეტილ მოთამაშეებს ქვეყნის პირველ გუნდში არაფერი ესაქმებათ“ — არც რიო დე ჟანეიროს „ფუტბოლი“ გახლდათ ლმობიერი.

მაინც ვინაა ასეთი დენილსონი, უკვე ყმაწვილკაცობაში ბრაზილიის ნაკრების ძირითადში მოხვედრაზე რომ აცხადებს პრეტენზიას? უპირველეს ყოვლისა, დენილსონი, 20 წლის ბრაზილიელი ჭაბუკი, ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა, მეორეც — იგი ერთი თავმდაბალი, თუმცა უკვე მსოფლიოს უძვირფასეს მოთამაშედ ქცეული ბიჭია. დიახ, დედამიწის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე რონალდო კი არა, დენილსონია — ესპანურმა, კერძოდ კი სევილიის „ბეტისმა“ მასში 32 მილიონი დოლარი გადაიხადა.

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩში დენილსონმა მხოლოდ ოცი წუთი ითამაშა, თუმცა ეს დროც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას თავისი მოქმედებით ძირითადში მოთამაშე თანაგუნდელები დაეჩრდილა. გამოჩნდა თუ არა დენილსონი, ბრაზილიელებმა ჯიმ ლეიტონის კართან ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო იერიში მიიტანეს, სქოთთა ავტოგოლამდე სწორედ შეცვლაზე შესული შემტევი ნახევარმცველის წყალობით სქოთთა კართან ნამდვილი შტურმი მოაწყვეს.

— ძალიან გამიხარდა ნაკრებში, რომ მიმიწვიეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ჩემთვის ოცნება იყო. ბავშვობაში, როცა ზიკოს, ფალკაოს და სხვათა თამაშს ვუცქერდი, თვალებს ვხუჭავდი და წარმოვიდგენდი, რომ იქ, მათ შორის მეც დავრბოდი. ახლა ოცნება რეალობად იქცა — მე, დენილსონი, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობ! მართალია, პირველ შეხვედრაში მთლიანად არ გავრჯილვარ, მაგრამ შემდეგ მატჩებამდე ვეცდები, ყველაფერი ვილონო ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად — თუნდაც ამ საუბრიდან ჩანს დენილსონის, დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოთამაშის, თავმდაბალი ხასიათი.

...შარშან, დაახლოებით ამ დროს საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში ბრწყინვალე ტურნირი მოეწყო ბრაზილიის, იტალიის, ინგლისისა და მასპინძელთა გუნდების მონაწილეობით. ის ტურნირი მართალია ბრაზილიელებმა ვერ მოიგეს, მაგრამ ამით დენილსონის არაფერი დაუკარგავს. ევროპის საფეხბურთო სამყარომ სწორედ იქ აღმოაჩინა უნიჭიერესი ბრაზილიელი ყმაწვილი.

ახლა საფრანგეთი კვლავ ბრწყინვალე საფეხბურთო ტურნირს მასპინძლობს, ამჯერად უკვე მსოფლიოს ჩემპიონატს. საინტერესოა, შეძლებს კი დენილსონი გაბრწყინებას იქ, სადაც გაეცნო კიდეც მსოფ-ლიოს?



ოცი წუთიც საკმარისი აღმოჩნდა დენილსონისთვის (მარცხნივ), გულშემატკივრები სხვებზე მეტად რომ მოეხიბლა

# მათეუსს თამაში სწყურია



სარბიელის არქივიდან

ლოთარ მათეუსს ეგებ ზედიზედ მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატზე თამაშიც ეღირსოს

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ლიბერო ლოტარ მათეუსი მართლაც გამოირჩევა მსოფლიოს ფეხბურთში. ამ ზაფხულში 37 წლის ვეტერანი გერმანელი საფრანგეთში თავის მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ გაემგზავრა. აქამდე ეს მხოლოდ ლეგენდარულ მექსიკელ მეკარე კარბახალს მოეხერხებინა და თითქოს მისი მიღწევა მიუწვდომელი ჩანდა, მაგრამ... იმდენად დიდი იყო მათეუსის სურვილი, კიდევ ერთხელ ეასპარეზა გრანდიოზულ სპორტულ სანახაობაზე და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა გერმანიის ნაკრებს, რომ ბოლოს და ბოლოს, მეტად მკაცრი მწვრთნელის, ბერტი ფოგტსის გულიც მოიგო და ნატვრაც აიხდინა. ახლა გერმანიის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე საფრანგეთშია და გუნდთან ერთად აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ საპაექროდ ემზადება. მათეუსმა თავისი პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი 1982 წელს ესპანეთში დააჭაშნიკა. მოგეხსენებათ, ოთხი წლის შემდეგ მექსიკაში ფინალშიც თამაშობდა, მაგრამ მაშინ გერმანელებმა დიდებულ არგენტინელ დიეგო მარადონასთან ვერაფერი გააწყვეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. 1990 წელს კი ლოტარის დროც დადგა. იგი იმ დროს მოედნის შუაგულში შემქმნელი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა და მსოფლიოში, ალბათ, საუკეთესო გამთამაშებელი იყო. ამის შემდეგ ფეხბურთელის კარიერა უკან-უკან წავიდა. მართალია, 1994 წელს იგი ამერიკაში მე-15 მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაემგზავრა, მაგრამ ბულგარელებთან განცდილმა სამარცხვინო მარცხმა გერმანიის ნაკრების ერთგული გულშემატკივრები ერთობ განარისხა. ისინი წარუმატებლობაში სწორედ მატეუსსა და სხვა წამყვან ფეხბურთელებს ადანაშაულებდნენ. თუმცა ლოტარის ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდი ჯერ კიდევ წინ იყო. ბერტი ფოგტსმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მას ნაკრებში საერთოდ არ უხმო, რითაც მეტად დასწყვიტა გული. ასაკის მატების კვალობაზე ნახევარდაცვიდან დაცვაში დახეული ლიბერო ვერც შემდეგ წლებში ხვდებოდა ქვეყნის პირველ გუნდში და მისმა მრავალრიცხოვანმა თაყვანისმცემლებმაც თავიანთი რჩეულის კარიერა, ალბათ, დასრულებულად ჩათვალეს. ამ კაცმა გერმანიის ფეხბურთის ისტორიაში ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი — 125 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ახლა მისი წასვლის დროც დადგაო, ამბობენ მავანნი, მაგრამ თავად მატეუსი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. მან თავდაუზოგავად განაგრძო წვრთნა „ბაიერნში“ და მისმა მონდომებამ შედეგიც გამოიღო.

გუშინ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე მათეუსმა არაერთ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. მთავარი კი ის იყო, რომ ფეხბურთელს თურმე ძალიან მოსწონს ფიფას მიერ დანერგილი ახალი წესი, რომლის თანახმადაც მოთამაშის უკნიდან შეტევა და ბურთისართმევის უხეში ცდა უმალ წითელი ბარათით ისჯება. ლოტარი ამ სიახლეს ფეხბურთის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

— ამიერიდან ეს თამაში გაცილებით მიმზიდველი და საინტერესო გახდება. ყოველ ფეხბურთელს უდიდესი სიფრთხილე მართებს, რადგან ოდნავი უხეშობა და მსაჯი უყოყმანოდ ჯიბისკენ წაიღებს ხელს. ვფიქრობ, ამ წესის შემოღება მეტად წაადგება ფეხბურთს. ფეხბურთელები ამ ბოლო დროს მომრავლებულ უსიამოვნო ტრავმებს აიცილებენ, არბიტრებსაც ამა თუ იმ მომენტის რეალურად შეფასება არ გაუჭირდებათ, ხოლო გულშემატკივრები კიდევ უფრო ლამაზ სანახაობას იხილავენ. ფორვარდებმა იციან, რომ მათ უკნიდან ველარავინ შეუტევს და უფრო გაბედულად იმოქმედებენ. გახსოვთ, ალბათ, როგორ ცინიკურად ექცეოდნენ მცველები მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებს, როგორ უმოწყალოდ ურტყამდნენ კოჭებში და აზიანებდნენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ფეხბურთის მეფის, პელეს უმძიმესი ტრავმაა, როცა 1962 წელს ჩილეში პორტუგალიელმა მცველებმა ბრაზილიელთა იმედი არ დაინდეს, რაც მას ჩემპიონატის გამოტოვებად დაუჯდა — განაცხადა გერმანიის ნაკრების ვეტერანმა, რომელიც თურმე ამერიკელებთან ორშაბათის სასტარტო შეხვედრამდე წუთებს ითვლის და ერთი სული აქვს, სანამ მოედანზე გავა.

— ახალგაზრდა ბიჭივით ვღელავ და სულმოუთქმელად ველი პირველ შეხვედრას. მართალია, ჩემი მრავალწლიანი კარიერის მანძილზე ამაზე მნიშვნელოვანი მატჩებიც ჩამიტარებია, მაგრამ ნერვებს მაინც ვერაფერს ვუხერხებ და მთელ ტანში ჟრუანტელი მივლის — მათეუსს, ეტყობა, მართლაც მოენატრა ეროვნულ გუნდში თამაში, რაც აგერ უკვე სამი წელია, არ ღირსებია.

თუმცა, ესოდენ ტიტულოვან და გამოცდილ ფეხბურთელს კარგად ესმის, რომ შესაძლოა საფრანგეთში უმეტესი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატაროს.

— ვიცი, რომ გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გამიჭირდება. ახლა ხომ სულ სხვა ვითარებაა და არც მე ვარ იმ ასაკში, როცა გაცილებით შრომატევადი სამუშაოს შესრულება შემეძლო. წინა მსოფლიოს ჩემპიონატებზე მინდორზე ხშირად გავდიოდი და ამ მხრივ საპრეტენზიო არასდროს არაფერი მქონია, მაგრამ მაინც ვხვდები, თუ რას უნდა განიცდიდეს ოცდაორ საუკეთესოს შორის მოხვედრილი ფეხბურთელი, რომელსაც უდიდეს ტურნირზე თამაშის ბედნიერება არც ერთი წუთით არ ერგო. ვიცი, ამჯერად უიღბლო მოთამაშეთა ნუსხაში შესაძლოა მეც აღმოვჩნდე, მაგრამ რას იზამ. გუნდში ყველაფერს მთავარი მწვრთნელი წყვეტს და თერთმეტ საუკეთესოსაც ის ირჩევს — მატეუსის სიტყვები, ალბათ, ყველას დაალონებს. მართლაც, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, საფრანგეთის მინდვრებზე ვერ იხილო მოთამაშე, რომელიც წლების მანძილზე უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს.

გერმანელებმა საფრანგეთში, შეიძლება ითქვას, საკმაოდ გადაბერებული შემადგენლობა ჩაიყვანეს. გუნდის საშუალო ასაკი დაახლოებით 30 წელია და სპეციალისტების აზრით, ამ ნაკრებისათვის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება თითქმის წარმოუდგენელია.

თუმცა მათეუსი სულ სხვაგვარად ფიქრობს.

— გამოცდილება უდიდეს როლს თამაშობს ისეთ ტურნირებზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია. ჩემი საფეხბურთო კრიერის მანძილზე ბევრი რამ მინახავს და დავრწმუნდი, რომ ასპარეზობაზე, რომელიც თითქმის თვეზე მეტი გრძელდება, გამოცდილება უმთავრესია. თუმცა ვაღიარებ, რომ ყველაფერს მაინც იღბალი წყვეტს. თუ ჩვენმა გუნდმა ცუდად ითამაშა, იტყვიან, ბებრები იყვნენ და ამიტომაც დამარცხდნენო. გამარჯვებულებს კი ხოტბას შეგვასხამენ. ამიტომ ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. თუ კარგად გავირჯებით, ყველაფერი ჩინებულად იქნება — ამბობს მათეუსი.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ფინალურ მატჩი ოქროს გამტანი ოლივერ ბირჰოფი თურმე ამ ეგრეთწოდებული „უეცარი სიკვდილის“ წესის წინააღმდეგია და თვლის, რომ მსოფლიოს ფეხბურთის მამებმა მის შესაცვლელად სასწრაფოდ რამე უნდა იღონონ. გახსოვთ, ალბათ, ორი წლის წინ ინგლისში გამართულ ევროპის პირველობაზე გერმანიის ნაკრები ფინალში ჩეხებს ხვდებოდა. ჯერ იყო და შეცვლაზე შემოსულმა ბირჰოფმა მეორე ნახევარში ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მსაჯის მიერ დანიშნულ დამატებით ტაიმში თავის გუნდს ევროპის ჩემპიონობა მოაპოვებინა.

— ვფიქრობ, „უეცარი სიკვდილის“ წესი მეტად არალოგიკურია. დამატებით ტაიმში გატანილი ოქროს გოლის შემდეგ მატჩის შეწყვეტა ერთობ უსამართლოა, რადგან იმ გუნდს, რომელმაც საკუთარ კარში გოლი მიიღო, ფაქტობრივად, დარჩენილ დროში ანგარიშის გათანაბრების საშუალება ერთმევა. ამიტომ ოფიციალურმა პირებმა, ვისაც მსოფლიოს ფეხბურთში თავისი სიტყვა ეთქმის, ეს წესი სასწრაფოდ უნდა შეცვალონ ანაც გააუქმონ — განაცხადა უკმაყოფილო ბირჰოფმა, რომელსაც თურმე, არაერთი ფეხბურთელი უჭერს მხარს.



სარბიელის არქივიდან

ბირჰოფს ოქროს გოლი გულზე არ ეხატება

## აღარ გვინდა ოქროს გოლი!

# კოლუმბიელი მხატვარი



სარბიელის არქივიდან

კარლოს ვალდერამას ხატვის ნიჭიც ჰქონია

1994 წელს, ამერიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემიონატზე, კოლუმბიის ნაკრებს რატომღაც ფავორიტად მიიჩნევდნენ. ამის მიზეზი იქნებ წინა წელს ბუენოს აირესში არგენტინელთა 5:0 განადგურება იყო, ან სულაც კარლოს ვალდერამა, რომლისაც ძალიან სჯეროდათ თანამემამულეებს და ამიტომაც იყვნენ იმედიანად. მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და ყველაფერი თავდაყირა დადგა — კოლუმბიელებმა საშინლად ითამაშეს და სამი ჯგუფური თამაშიდან ორში დამარცხდნენ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ტურნირის მასპინძლებთან, აშშ-ს ნაკრებთან წაგებული შეხვედრა იყო, არა ის 90 წუთი, რომელიც ფეხბურთელებმა მოედანზე დაჰყვეს, არამედ რეზონანსი — საკუთარ კარში გოლის გამტანი კოლუმბიელი მცველი ანდრეს ესკობარი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამ ისტორიის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ესკობარის ამბავიც აღარ არის ისეთი აქტუალური, როგორც მაშინ — დრო ხომ ყველაფრის მკურნალია, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანაში მკვლელობა სულაც არ არის უცხო ხილი. კოლუმბიის ნაკრებმა წარმატებით გაიარა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი და თამაშის დონეც თითქოს აიმაღლა. რისი იმედი აქვთ მის გულშემატკივრებს ახლა? ალბათ მხოლოდ ვალდერამასი, არგენტინას ხომ ყოველთვის ვერ მოუგებ 5:0-ს. თუმცა კოლუმბიელთა თავკაცს სხვა გეგმებიც ჰქონია: „თუ ბიჭები დროულად მოახერხებენ მობილიზებას და თამაშში მეტ დინამიურობას შეიტანენ, რაც ჩემი აზრით დროდადრო რიტმის ცვლაში უნდა გამოიხატოს, მაშინ არანაირი პრობლემა აღარ იქნება“.

კოლუმბიელები, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ახლაც რუმინელებთან ერთად მოხვდნენ ჯგუფში. მაშინ ეს დუელი ევროპელებმა პირწმინდად მოიგეს — 3:1. გომესმა იმ მარცხს ასეთი შეფასება მისცა: „1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და პირველ რიგში რუმინელებთან შეხვედრა ძალიან ცუდი მოსაგონარია, მაგრამ წაგება სიურპრიზი ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენ მოწინააღმდეგე ხომ ბევრად უფრო გამოცდილი და დიდი საფეხბურთო ისტორიის მქონე გუნდი იყო“.

მიუხედავად ასეთი აზრისა, სამხრეთამერიკელთა თავკაცი წელს უფრო ოპტიმისტურად გამოიყურება და აცხადებს: „მართალია, კოლუმბიელები ევროპელებივით აგრესიულ და დინამიურ ფეხბურთს ვერ თამაშობენ, მაგრამ ჩვენ რამდენიმე მაღალი დონის ინდივიდუალურად მოთამაშე ფეხბურთელი გვყავს. ამინდიც სწორედ მათ უნდა შექმნან“. ამას რომ ამბობდა, ერნან გომესის ფიქრები ალბათ კარლოს ვალდერამას გარშემო ტრიალებდა. მართლაც, თმაქოჩორა ნახევარმცველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუნდის ლიდერი და კოლუმბიელთა მთავარი იმედია. საფრანგეთი და მისი სტადიონები ვალდერამასთვის სიახლე არ არის — იგი წარსულში „მონპელიეს“ ღირსებას იცავდა. ვალდერამა ყოველთვის ექსტრავაგანტულ პიროვნებად ითვლებოდა არა მხოლოდ თმის განსაკუთრებული ვარცხნილობისა და ყველასგან განსხვავებული თამაშის სტილის გამო — იგი ძალიან ნიჭიერი, სპეციალისტების აზრით საკმაოდ პერსპექტიული მხატვარიცაა. „ხატვა ჩემი ჰობია. სკოლაში სწავლისას განსაკუთრებით ვიყავი გატაცებული და დიდ დროსაც ვუთმობდი, რითაც ჩემი მშობლები და მასწავლებლები აღტაცებულნი ნამდვილად არ იყვნენ. ახლა ამისთვის დრო ნაკლებად მაქვს. ჩემი მთავარი საფიქრალი რუმინელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩია“. ვალდერამას თავისი ნამუშევრები ლიონში, ნაკრების დროებით ბაზაზეც ჩაუტანია, რამაც მისი ფეხბურთის თუ ხელოვნების თაყვანისმცემლები აღფრთოვანებაში მოიყვანა.

მოკლედ, კოლუმბიის ნაკრები 15 ივნისს შურისძიებას აპირებს. რუმინელებთან მათი შეხვედრა უინტერესო არ იქნება და ამის მიზეზი ოთხი წლის წინანდელი მარცხია. გუნდის ყველა წევრი თავისებურად ემზადება — ზოგი ვარჯიშობს, ზოგიც გამოფენებით არის დაკავებული. რას იზამ, სპორტი და ხელოვნება ხომ მეგობრები არიან.

მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე ფავორიტს ტრავმების გამო გეგმები რადიკალურად შეეცვალათ. ჯერ იყო და ბრაზილიური შეტევის სუპერდუეტი რო-რო-სგან ერთი რო, ახალგაზრდა რონალდო დარჩა, ხოლო უფრო გამოცდილი რომარიო ფარიასი ატირებული დაემშვიდობა საფრანგეთის მინდვრებს. იგივე ბედი ეწიათ იტალიელ ვარსკვლავებს — ანჯელო პერუცის და ჩირო ფერარას, აგრეთვე ფაბრიციო რავანელის, რომელსაც ბრონქიტმა ზედ ჩემპიონატის წინ მოუსწრო. ლიდერი ხორვატებსაც დააკლდათ — ალენ ბოქშიჩმა ათიოდე დღის წინ ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო. თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არა, ტრავმები აუტსაიდერებსაც ეწვია და ნიგერიელთა და სამხრეთაფრიკელთა შემდეგ კამერუნის ნაკრების კარზეც მიაკაკუნა...

საბრალო სერჟ კვეჩე. იგი ჯერ კიდევ 21 წლისაა და ასაკთან ერთად არც მისი განუვითარებელი ქვეყნის დავიწყება ეგების. კვეჩესთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იქნებ ბედნიერების მწვერვალიც იყო, მაგრამ აქამდე მას

## საბრალო კვეჩე

სულ რამდენიმე საათი დააკლდა. შეიძლება საფრანგეთი 98 მისი წარმატებული კარიერის დასაწყისიც კი ყოფილიყო და კვეჩესაც რომელიმე დიდ ევროპულ კლუბში ამოეყო თავი. მაგრამ არა, მას კვლავ მშობლიურ „რასინგ ბაფუსამში“ მოუწევს ბურთაობა და მსოფლიოს უპირველს შეჯიბრსაც კიდევ ოთხი წელი უნდა ელოდოს.

კამერუნის ნაკრების ხელმძღვანელებმა შეიტყვეს თუ არა, რომ სერჟ კვეჩე თამაშს ველარ შეძლებდა, სასწრაფოდ მიმართეს ფიფას და მისი სხვა ფეხბურთელით გამოცვლა სთხოვეს. ფიფამაც დაადასტურა ფეხბურთელის ტრავმის სერიოზულობა და გუნდის თავკაცთა მოთხოვნა დააკმაყოფილა. შედეგად აფრიკელთა შემადგენლობაში ახალი ნახევარმცველი — აბანდა ჟუანი გამოჩნდა. ალბათ რამდენადაც კვეჩეა დაღონებული, იმდენად ჟუანიც გახარებული. იგი ხომ ჩამორჩენილი კამერუნიდან უცაბედად საფრანგეთში, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე მოხვდა.





გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# ისევ იმ ძველი დარდისა

FRANCE 98

მთელი ზამთარი და ასე ვთქვათ, გაზაფხული, ჩვენ ამ ჩემპიონატის ცდაში გატარეთ. ცდა ცდად და საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთი მთელის გაქანებით მოძრაობდა და აწყდებოდა კედლებს. ყველაფერი თავის გზით მიდიოდა, შიდა პირველობებიცა და ევროთასებიც.

თქვენი არ ვიცი და ჩემთვის ამ ჩემპიონატისწინა სეზონის ცქერა, უფრო იმ ვარსკვლავებთან გამოთხოვება იყო, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდებოდნენ.

ეს დიდი ხნის ისტორიაა: ყოველთვის მოიძებნება ხოლმე ვარსკვლავთა რაზმეული, რომელიც ვერც მსოფლიო ჩემპიონატზე ხვდება და ნაკრების კარიც მუდმივად მიხურული აქვს ცხვირწინ.

განა არ ვიცოდით?

ბუნდესლიგის კუდს დაბღაუჭებული მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ლიდერი და ზეკაცი შტეფან ეფენბერგი ნაკრებში ვერ მოხვდებოდა. ისიც კარგახნის გარკვეული იყო, რომ დავიდ ჟინოლას არავინ გადაუგდებდა საფრანგეთის ნაკრების სვიტერს. მისი „ტოტენჰემიც"ვარდებოდა პრემიერლიგიდან. მაგრამ ორივემ, ეფენბერგმაც და ჟინოლამაც შეძლეს და თავიანთი გუნდები გადაარჩინეს. მე თუ მკითხავთ, ორივეს ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა, თუმცაღა ეს არ იყო გამარჯვებული კაცების სეზონი. მათ, ძირითადად, უარყოფით ემოციებთან უხდებოდათ ბრძოლა და მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი პატარა გამარჯვებები მოიპოვეს, რა თქმა უნდა, დიდი სიხარული არ განუცდიათ.

ან კი რა ჰქონდათ სასიხარულო? აგერ რამდენი წელიწადია, რაც ორივენი სადგურის ბაქანზე დატოვებულ საერთაშორისო ვაგონის მგზავრებს გვანან. მატარებელი კი, ჰეი, წავიდა.

დასანანია, რომ ქვეყნად ასეთი მატარებლები არსებობს.

ამისთანა რა თითი დაანახა ეფენბერგმა გერმანელ ქომაგებს, რომ ბერტი ფოგტსმა ვერაფრით დაივიწყა? გერმანიის ნაკრები როდის ყოფილა მონაზონთა საკრებულო, ან კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტი? მით უმეტეს, რომ აშკარაა — იმ ხალხმა, ვისაც ეფენბერგმა თითი დაანახა, კარგა ხანია აპატია მას. აღარ უნდა დამთავრდეს ეს თითების გამო ფეხბურთელების განადგურება?

ალბათ, კარგა ხანს არ დამთავრდება.

გერმანია კი არაფერს წააგებდა შტეფანი რომ ჰყოლოდა.

და არა მგონია ფრანგებს წაეგოთ რამე ოცდაორ კაცში ჟინოლას ყოფნით. შეუძლებელია, რომ რაღაც ზარალზე ილაპარაკო განაცხადში ჟინოლას შეყვანით. უბრალოდ, ჟაკეს არ სჭირდება ეს კაცი. ის ფუფუნებად თვლის ჟინოლას ყოლას და ეს გასაგებია. გასაგებია, მაგრამ არცთუ მისაღები. ფუფუნებაზე ხომ ყოველთვის დაობენ.

ამ ჩვენს უცნაურ ჩეზარე მალდინისაც მძიმე გაზაფხული ჰქონდა. ორჭოფობდა, ითვლიდა, ეჭვობდა. რობერტო ბაჯოს კი ასევე საუცხოო სეზონი ჰქონდა პატარა „ბოლონიაში". შინაგანად, მალდინის არ უნდოდა ბაჯო. ასევე, ფუფუნებად თვლიდა. ბოლოს მაინც დათანხმდა და პირობები წამოაყენა, ძირითადში ვერ დაგაყენებო. ვილაციოსთვის საუბედუროდ და ბაჯოსთვის საბედნიეროდ, საქმე ისე აეწყო, რომ ბაჯო ძირითადში აღმოჩნდა.

და ვინ არის რობერტო ბაჯო და რა შეუძლია, ეს უკვე კარგად გამოჩნდა. ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არ დაწყებულა და ბაჯომ უკვე დასვა ნიშანი. ამიტომ ის შეურაცხყოფილი პირობები და წინაპირობები, ამა და ამ წუთზე შემოხვალ და ამა და ამ წუთზე გახვალო, მართლაც შეურაცხმყოფელია. ბაჯო ჰირვეულობსო, იჭირვეულებს, აბა რა იქნება? ბაჯო ისეთი კაცია, საკუთარი თავის ფასი რომ კარგად იცის.

აი, ბედკრულმა გაზამ კი არასოდეს იცოდა საკუთარი თავის ფასი. ამიტომაცაა, რომ ახლა მზეს ეფიცხება ფლორიდის სანაპიროზე. მე წავიკითხე ნაკრებიდან გამოსროლილი პოლ გესქოინის ინტერვიუ გაზეთ „სანში". ამ ინტერვიუში მან 130 ათასი ფუნტი სტერლინგი აიღო. თუკი ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, მისი თითოეული ფეხბურთელი 70-70 ათას ფუნტს მიიღებს. თითქოს სალაპარაკოც არაფერია, გაზას არყოფნაში კვლავდაკვლავ გაზაა დამნაშავე. მას ხომ აგერ რამდენი წელია, საშუალო დონის საკლუბო ფეხბურთი რაა, ისიც არ უთამაშია. თუმცა, ამას სანაკრებო ამბავზე ვერ ვიტყვით. ერთადერთი, რაც ჰქონდა შერჩენილი ამ ტვინდასეტყვილ კაცს, ნაკრები იყო და იქ კი ყოველთვის თავს იკლავდა. ზოგჯერ გამოსდიოდა ეს საქმე და ზოგჯერ არა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ...

ახლა იხსენებენ ინგლისში — თავის დროზე ალფ რამსეიმ დიადი ჯიმი გრივსი არ დააყენა ძირითადში, მას საშუალო გაქანების ჯეფრი ჰერსტი ამჯობინა და ინგლისიც ჩემპიონი გახდაო. ჯიმი გრივსი, რომელსაც წიგნიც კი აქვს დაწერილი იმის თაობაზე, თუ როგორ განიკურნა



*მეგობარი კაცები:* მგონი, გლენ ჰოდლი ისე მოექცა გაზას, როგორც თავის დროზე გლენ ჰოდლს ექცეოდნენ ინგლისის ნაკრების მწვრთნელები

ლოთობისგან, არ დააყენეს. გაზა კი არ შეიყვანეს. განსხვავებაც ეს არის. გრივსის მერვენომრიანი მაისური გრივსს ჰქონდა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, გაზას მერვენომრიანი მაისური დეივიდ ბეტის აცვია.

ასეთი კაცია ჰოდლი, მზადყოფნას აწვება.

მზადყოფნის გამო კი მცირე ნაწყვეტი გაზას ინტერვიუდან: „არ მგონია, რომ მზადყოფნის გამო ვიყო დაწუნებული. გლენმა უფრო ძველი უსაქციებლობის გამო შემრისხა. ყველაზე მეტად იმის გამო მწყდება გული, რომ დღეში ორჯერ ვვარჯიშობდი და მერე ფეხებით ვმუშაობდი ტრენაჟორებზე. ბოლო ორ საკონტროლო თამაშში მართლაც ვერ ვივარგე, მაგრამ პარასკევს გლენმა მითხრა, რომ გუნდში ვარ. კვირას კი პირიქით გადაწყვიტა. დიახ, მე ვერ ვიყავი მზად, მაგრამ ჩემი კონდიციების გრაფიკი განუხრელად იწევდა მაღლა. შემადგენლობა პირველ ივნისს გაირკვა, პირველი თამაში კი 15-ში გვაქვს. ორ კვირაში ვიფრენდი. ვერ ვიფრენდი და მეორე თამაშამდე კიდევ ერთი კვირა მრჩებოდა. ოც დღეში ორასი პროცენტით ვიქნებოდი მზად".

ასე რომ, საქმე არც ისე იოლადაა, როგორც წარმოვიდგენთ ხოლმე.

და მაინც, რატომ ჩნდებიან ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც ან ვერ ხვდებიან ნაკრებში, ან ორგანულად ვერ იტანენ ნაკრებს? აბა, რა მოხდებოდა 1982 წელს გერმანიის ნაკრებს რომ ბერნდ შუსტერი ჰყოლოდა? „ბერნაბეუზე" რომ შუსტერი ყოფილიყო, ფინალში სხვა თამაშს ვნახავდით. მოგება-წაგებას კი არ ვგულისხმობ, არამედ სხვა თამაშს.

ანდა, რა იქნებოდა, ექიმ ჰილტონ გოსლინგს ვისენტე ფეოლა რომ ვერ დაეყოლიებინა, ერთი თამაში მაინც ანდე გარინჩასა და პელესო. ასე რომ არ ყოფილიყო, ძირითადში პეპე და დინო იდგებოდნენ, ანდა მაცოლა, იგივ ჟოზე ალტაფინი და მაშინ... არა, ედსონი დღეს ნამდვილად ველარ იტყოდა, ჩვიდმეტი წლისამ ასეთი რამეები მოვახდინეო.

მაინც მგონია, რომ ეს პრობლემა, ვარსკვლავთა ამორჩევის პრობლემა, უფრო დიდი საფეხბურთო ქვეყნებისაა, თორემ აგე, ხომ უყურებთ, კარლოს ვალდერამას მანამდე ეცმევა კოლუმბიის ნაკრების სამოვი, სანამ მოედანზე არ წაიქცევა. ამგვარადვე დაუმყარებია მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი მექსიკელ მეკარეს ანტონიო კარბახალს, რომელიც მაშინ ჩადგა მექსიკის ნაკრების კარში, როცა ქვეყნად ცხენებით დადიოდნენ და მაშინ დატოვა მინდორი, როცა დედამიწას ხელოვნური თანამგზავრები უვლიდნენ გარს. კარბახალმა ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება, გესქოინმა მხოლოდ ერთში, მაგრამ იოლი სათქმელია, რომელმა უფრო ღრმა ხნული გაავლო მინდორზე.

მაინც ხრისტოს ამბავი უნდა გავიხსენო, ამ პლოვდიველ მედაფთაფეს ხომ ყველაფერი გასდის თავის ქვეყანაში და საკუთარ დანაშაულზეც კი პირიქით ითხოვს პასუხს. ქვეყნის პრეზიდენტის გამუდმებული ზარები შეიქნა საჭირო, რომ სტოიჩკოვს, კარგახნის საერთაშორისო დუბლიორს ენება და ნაკრებში დაბრუნებულიყო. დიდ საფეხბურთო ქვეყანაში ხომ ეს საქმე გამორიცხულია.

გუშინწინ კი, ბორდოდან გადმოცემულ თამაშს რომ ვუყურებდი და ვხედავდი, რარიგ ცოდვილობდა იტალიის ნაკრები ჩილელთა წინააღმდეგ, კვლავ და კვლავ ვარსკვლავთა ბედზე ვფიქრობდი. განა ჩილის ნაკრები გაიტანდა გოლს ამ ჩემპიონატზე SA-SA-ს გარეშე? განა იტალიელებს ასე უნდა გაჭირვებოდათ ამ „მზეპირსიბანს" საღამოს. კი, იტალია მძიმედ იწყებს, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ იტალია ცუდად იწყებს და დაცვის კარი მოუღია. ორი გოლი იტალიელებს შარშანდელი ოთხთა ტურნირის შემდეგ არ გაუშვიათ და ისიც ხომ სავარჯიშო ტურნირი იყო?

მარსელო სალასმა კი უბადლოდ შეასრულა თავისი პარტია. სალასმაც და პრინციპში, სამორანომაც. სალასის მეორე გოლი, ის უმძიმესი მკვდარი თავური, დიახაც უნდა გვახსენებდეს იმას, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც თამაშის ბედის გადაწყვეტა ხელეწიფებათ.

მე მგონია, რომ ეფენბერგიც, ჟინოლაცა და გაზაც, ასეთები არიან.

თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი ხალხი კამერუნშიაც მოიძებნება და ავსტრიაშიც.

სხვა კი რა ვთქვათ?

გოლები არის, მაგრამ ფრეები ბევრია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯგუფთა მთავარი ამბების 20 ივნისის შემდეგ დატრიალდება. ის დარდი კი, ძველი დარდი, ვარსკვლავისა და ნაკრებისა, მაინც რჩება. ეს ხომ უკვდავი დარდია.

## ფეხბურთი

### ფეხბურთის რუკასთან

ესპანეთში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ამ ქვეყნის ნაკრების მცველის ივან კამპოს ირგვლივ. დღესდღეობით იგი „ვალენსიაში" ირიცხება და როგორც ამ კლუბის პრეზიდენტმა პედრო კორტესმა განაცხადა, კამპოს გაშვებას არსად აპირებს. თუმცა მისი გადაბირების მსურველი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებული მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ლორენცო სანზი საწინააღმდეგოს ამტკიცებს — კამპო მალე ჩვენი საკუთრება გახდებაო. ფეხბურთელის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია.

კამერუნის ნაკრების თავდამსხმელმა პატრიკ მბომამ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თავისი ამჟამინდელი კლუბის, იაპონური „გამბა ოსაკას" დატოვებას და იტალიაში, კერძოდ „კალიარიში" თამაშის გაგრძელებას აპირებს. მბომა მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩებში კამერუნელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო — 6 თამაშში 5 გოლის გატანა მოახერხა, ამავდროულად ჯეი ლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, სადაც 28 თამაშში 25-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. მისი თქმით, კონტრაქტის პირობები და სატრანსფერო თანხა საფრანგეთი 98-ის დასრულების შემდეგ გაირკვევა. „ძალიან ამბიციური ვარ და ღრმად მწამს, იტალიური კარიერა ჩემი თამაშის მანერის დახვეწაში დიდ როლს შეასრულებს" — განაცხადა ავსტრიელებთან ფრედ 1:1 დასრულებული პირველი სამსოფლიოსჩემპიონატო მატჩის შემდეგ 27 წლის მბომამ, რომელიც მართალია კამერუნში დაიბადა, მაგრამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი საფრანგეთში აქვს გატარებული. იაპონიაში წასვლამდე იგი სწორედ ფრანგულ კლუბებში — „მეცში" და „პარი სენ ჟერმენში" გამოდიოდა.

### რუსეთი

მე-11 ტური: დინამო — როსტსელმაში 1:2; ჟემჩუჟინა — ლოკომოტივი 2:0; ალანია — ზენიტი 0:0; ურალანი — ჩერნომორეცი 1:1; კრილია სოვეტოვი — შინიკი 1:0; ტიუმენი — ტორპედო 1:2; სპარტაკი — ცსკა 2:1; ბალტიკა — როტორი 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 11 | 5 | 5 | 1 | 15:7 | 20 |
| ალანია | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 19 |
| ჟემჩუჟინა | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 18 |
| როტორი | 11 | 4 | 6 | 1 | 19:13 | 18 |
| ბალტიკა | 11 | 4 | 6 | 1 | 11:8 | 18 |
| როსტსელმაში | 11 | 4 | 5 | 2 | 19:13 | 17 |
| ლოკომოტივი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:10 | 16 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:9 | 15 |
| კრ. სოვეტოვი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:13 | 14 |
| ცსკა | 11 | 3 | 4 | 4 | 15:13 | 13 |
| ურალანი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | 13 |
| ტორპედო | 11 | 2 | 5 | 4 | 8:10 | 11 |
| ჩერნომორეცი | 12 | 1 | 8 | 3 | 11:14 | 11 |
| შინიკი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:15 | 10 |
| დინამო | 11 | 0 | 8 | 3 | 5:9 | 8 |
| ტიუმენი | 10 | 1 | 1 | 8 | 5:22 | 4 |

# საჩუქარიც ასეთი უნდა

ხოსე ანტონიო კამაჩო, ამ სახელის გაგონებაზე ყველას მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი — მადრიდის „რეალი" ახსენდება. მართლაც, კამაჩომ გუნდში მთელი 16 წელი გაატარა, თანაც როგორ. ამ პერიოდში იგი „რეალის" ნამდვილი ლიდერი იყო და თავისი ბრწყინვალე თამაშით გულშემატკივრებს არაერთი ლამაზი წუთი აჩუქა. 1973-89 წლებში კამაჩომ ცხრაჯერ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო ორჯერ უეფას თასსაც გამოჰკრა ხელი. მისი ესპანეთის ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობაც მეტად სოლიდურია — 81. ფეხბურთელის კარიერის დასრულებისთანავე, 1989-90 წლებში, იგი მადრიდული კლუბის მთავარი მწვრთნელის, წარსულში ამავე გუნდის აღიარებული ლიდერის, ალფრედო დი სტეფანოს თანაშემწედ დაინიშნა და აქედან აიღო სათავე კამაჩოს არცთუ ისე შთამბეჭდავმა, მაგრამ მაინც სამწვრთნელო ბიოგრაფიამ. ორი წლის შემდეგ იგი მეორე დივიზიონის „რაიო ვალეკანოს", ხოლო 1993 წელს ამავე დივიზიონის „ესპანიოლს" ჩაუდგა სათავეში, რომელთან ერთადაც ესპანეთის უმაღლეს ლიგაში აინაცვლა და 1995-96 წლების სეზონში ქვეყნის ჩემპიონატში სულაც მეოთხე ადგილი დაიკავა. ამის შემდგომ კამაჩოს და მის გუნდს ჩავარდნა დაეწყოთ, რისთვის „ესპანიოლის". ხელმძღვანელობამ იგი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა, თუმცა გასულ სეზონში ბარსელონურმა კლუბმა იგი კვლავ მიიწვია სამუშაოდ. „ესპანიოლმაც" ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მე-10 ადგილს დასჯერდა...



ხოსე ანტონიო კამაჩო — მადრიდის „რეალის" ახალი მწვრთნელი

8 ივნისს, ორშაბათს, კამაჩოს 43 წელი შეუსრულდა. დაბადების დღეზე მას უამრავი სტუმარი ეწვია და, ალბათ, ბევრი საჩუქარიც მიიღო, მაგრამ ერთ-ერთი სტუმარი, კერძოდ მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ლორენცო სანსი და მისი საჩუქარი ყველაზე გამორჩეული იყო — წვეულების დასასრულს მან კამაჩოს მშობლიური გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობა შესთავაზა, რაზეც ბუნებრივია, უყოყმანოდ მიიღო თანხმობა.

მაშ ასე, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ახალი თავკაცი ჰყავს ხოსე ანტონიო კამაჩო — პიროვნება, რომლის სახელის გაგონებაზეც ყველას მადრიდის „რეალი" ახსენდება!

დავით ძოვზირიძე

PLASPAN
ლასფანი
მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრები, ტიხრები, ვიტრაჟები
მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. №1 (სს „ავტომემკვიდრეობის" ტერიტორიაზე)
ტ. 66-21-60
8-77-40-17-01



## ფეხბურთი

ოდიში პრეზიდენტი ვახტანგ ნანავა ლანჩხუთში გადაბარგებას აპირებს

# ისევ არეულობა და გაურკვევლობა

წინა ჩემპიონატის წინ ზუგდიდელი ფეხბურთის ფანები ერთი იმედით ცოცხლობდნენ, ჩვენმა საყვარელმა „ოდიშმა" იქნებ წელს მაინც გატეხოს ნავსი და ევროთასებზე გამსვლელ ადგილს გამო-ჰკრას ხელიო. გულშემატკივართა იმედი თითქოს რეალობას უახლოვდებოდა, „ოდიში" ჩემპიონატის უმეტესი დრო ლიდერებში ერია და სპეციალისტებს ახლაც ვერ აუხსნიათ, საპრიზო ადგილს მიღმა დარჩენა როგორ მოახერხა.

ოდიშელებს მაინცდამაინც ძლიერი გუნდი როდი ჰყავდათ, უფრო საშუალო ეთქმოდა, თანაც ცხადი იყო, სეზონის წინ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან შეკრებილი ფეხბურთელების შეთამაშება ბევრ დროს წაიღებდა.

არეულობას ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე დაედო სათავე — კლუბი მიატოვა კაცმა, რომელიც „ოდიში 98"-ის მთავარი შემოქმედი უნდა გამხდარიყო. მურთაზ ხურცილავას წასვლის მიზეზი დღემდე უცნობია. არადა, სწორედ მან მოაგროვა ის ახალგაზრდა ბიჭები, რომელთა გარჯამ პირველ წრეში „ოდიში" აქამდე არნახულად ალაზევა.

თავად ხურცილავას წასვლის მიზეზები არ დაუკონკრეტებია, წადით, ფეხბურთელებს ჰკითხეთ და სიმართლეს ისინი გეტყვიანო — გვითხრა. ფეხბურთელებმა სიჩუმე არჩიეს, თავს გაუფრთხილდნენ.

ხურცილავა ბადრი თუთბერიძემ შეცვალა, რომელსაც თავისი აზრი არ დაუმალავს. ან ვის უნდა მორიდებოდა, ადგილობრივი კაცია და ზუგდიდშიც თავისი სიტყვა ეთქმის.

— პირდაპირ გეტყვით, ჩემი თანამდებობაზე დანიშვნა არასწორად მიმაჩნია, გუნდს სხვა ამზადებდა და ჩემპიონატში სხვა გაუძღვება. ასეთი დამოკიდებულება სიკეთეს არ მოიტანს.

„ოდიში" ინერციით მიდიოდა და როცა ძალა გამოელია, სატურნირო ცხრილის სიღრმეში იწყო ჩაშვება.

არეულობა ფეხბურთელთა დაუსრულებელმა მიგრაციამაც გამოიწვია. დაიწყო და აღარ დამთავრდა. წასულთა ადგილს ახლები იკავებდნენ. შუა სეზონში „ოდიში" უკვე ისეთი მობილური აღარ იყო, როგორც დასაწყისში.

პრობლემებს პრობლემები ემატებოდა. მალე თავი ფინანსურმა კრიზისმაც იჩინა. „ოდიშთან" გაფორმებული კონტრაქტები დაარღვიეს კაიდარაშვილმა და რევაზიშვილმა. ისინი მშობლიურ „დილას" დაუბრუნდნენ. მგზავრობებში გალია ჩემპიონატი არაერთმა ფეხბურთელმა. ისინი ძირითადად პოლონეთს მიეშურებოდნენ, იქაურ ჩემპიონატში ფეხს ვერ იკიდებდნენ და უკან ფორმადაკარგულები ბრუნდებოდნენ.

ცხოვრება გაგრძელდა. „ოდიშის" პრეზიდენტმა ვახტანგ ნანავამ მაინც შეძლო, ზუგდიდში ახალი ფეხბურთელები ჩაეყვანა — ისიანი, ქორიძე, სიდამონიძე და ქოიავა არაერთ მატჩში გამოიყენეს.

ვახტანგ ნანავა „ოდიშისთვის" არ დაიხარჯაო, ვერავინ იტყვის. მას რომ ჩანაფიქრი განეხორციელებინა, ალბათ არც თავად გაუჭირდებოდა და არც კლუბს გაუჭირდებოდა. ნანავას გამოცდილება არ ეყო, ფეხბურთში დალვინებულ-გამობრძმედილი ხალხის გამოცდილება დააკლდა. ის ბევრის კაცურ სიტყვას ენდო მაინც, როცა მისგან ყველა საქმეს ითხოვდა. შეცდომა შეცდომას მიემატა და ნანავამ გვარიან ნერვიულობას გაუძლო, მიკროინფარქტიც გადაიტანა. ახლა როგორ არის საქმე და თუ იცით, რას ფიქრობს ნანავაო, ამ კითხვას ხშირად მოისმენთ საფეხბურთო წრეებში.

თავად „ოდიშის" პრეზიდენტს ვერაფრით დავუკავშირდით, ვერც კლუბის სხვა ხელმძღვანელები მოვიძიეთ, ხოლო ჭორი კი, იცოცხლეთ, გავრცელდა — ვახტანგ ნანავამ „ოდიშზე" გული აიცრუა. მაინცდამაინც არც ქალაქის ხელმძღვანელებს ემადლიერება, რადგან არც ერთი დანაპირები არ შეუსრულესო. ამიტომ პრეზიდენტმა კლუბის დატოვება და მეზობელ გურიაში გადასვლა გადაწყვიტაო.

ლანჩხუთელები რა ხანია კლუბისთვის ხეირიან პატრონს ეძებენ, ნანავასაც დაკავშირებიან, თავიანთი პირობები გაუცვნიათ და მგონი დაუყაბულებიათ კიდეც.

ზუგდიდელს ლანჩხუთში უმოქმედოდ მდგარი რამდენიმე ობიექტისთვის დაუდგამს თვალი. შენობები მაინც უქმად დგას, ავამუშავებ, ცოტა ხელი შემიწყვეთ, რაიონიც იხეირებს, „გურიაც" და მეცო.

ამბობენ, ამ ამბავს არ ახმაურებენ, თორემ ყველაფერი გადაწყვეტილიაო.

ზემოთქმულის სისწორე უახლეს დღეებში დადგინდება, მაგრამ ამით „ოდიშს" რა ხეირი. ზუგდიდს ალბათ მიწვეული ფეხბურთელების უმრავლესობა დატოვებს. მეკარე რამაზ სოლოღაშვილს არაერთი გუნდი ეკურკურება, მათ შორის ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი „დინამო". მურთაზ ხურცილავას ერთხელაც უთქვამს, მასზე იმედისმომცემი კარის დარაჯი მეორე არ მეგულებაო.

გელა ქორიძე გერმანიაში აპირებს კარიერის გაგრძელებას, სიდამონიძეც წამოსულა, ბოლნისელი ისიანი „სიონს" უბრუნდება. ჩადუნელი პოლონეთს მიემგზავრება. დარჩენას არც გლუნჩაძე აპირებსო.

მაშ, ვინ დარჩა, ფარმ-კლუბის ბიჭები, რომლებიც ზუგდიდში მრავლად არიან და ფაქტობრივად ამ სეზონში ან უსაქმოდ იყვნენ, ანაც გარე-გარე ეძებდნენ კლუბებს.

ხელმძღვანელთა შეცდომად მიგვაჩნია კლუბში მეორე მწვრთნელის ჩაყვანაც. „ოდიშის" ხაშურელმა ლეგიონერებმა მოითხოვეს, ვლადიმერ ხაჩიძეს უფრო გავუგებთ, უკეთ ის მოგვამზადებსო. ის კი არა, ბევრი ხუმრობდა კიდეც, ხაჩიძემ გასაყიდი ფეხბურთელები უნდა მოამზადოსო. ორი მწვრთნელის, თანაც თანაბარუფლებიანის, ერთად მუშაობა, ბუნებრივია, შეხმატკბილებული ვერ იქნებოდა. რაღა უკვირთ, როცა პრობლემამოძალებულმა გუნდმა საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვა. „ოდიშს" მეხუთე ადგილი მიღწევად უნდა ჩაეთვალოს.

ახალ სეზონს ზუგდიდელები მაინც იმედით ელიან. „ოდიშიდან" კი არაფერი ისმის. სიჩუმეა და გაურკვევლობა, რომელსაც არავინ იცის, ბოლო როდის მოეღება.

**მამუკა ქვანტალიანი**

ლეგიონი ლევან კობიაშვილი „დინამოშიც", „ფრაიბურგშიც"

# კობიაშვილი ფიგაროა

იაშვილისა და კობიაშვილის „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში რომ ალზევდა, უკვე ძველი ამბავია. ამის შემდეგ იყო, მითქმა-მოთქმა რომ დაიწყო ლევან კობიაშვილის შესახებ. იაშვილზე არავინ არაფერს ამბობდა, რადგანაც მან ერთი სეზონი ისევ „ფრაიბურგში" უნდა ითამაშოს. აი, კობი კი „დინამოდან" განათხოვრებული გახლდათ და პირობის თანახმად გასული სეზონის შემდეგ თბილისში დაბრუნება მართებდა. ასეც მოხდა, ლევანი ამჟამად შინაა, მაგრამ დღემდე ისევ გაურკვეველი იყო მისი მომავალი. დღემდეო, ვთქვით, რადგან გუშინ თავად ლევანმა ყველაფერში გაგვარკვია.

— თამაშს თბილისის „დინამოში" გავაგრძელებ, მშობლიურ კლუბში ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩამდე ვიქნები, მერე კი „ფრაიბურგში" დავბრუნდები. მართალი, ხელახალი კონტრაქტი გერმანელებთან ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ ეს ამბავი 80 პროცენტით უკვე გადაწყვეტილია. ახლა „დინამოსა" და „ფრაიბურგის" უფროსობას შორის მოლაპარაკებაა. მგონი, ყველაფერი კარგად დამთავრდება. ერთი სიტყვით, 80 პროცენტით დინამოელი ვარ, ოღონდ, როგორც გითხარით, ლიგის ბოლომდე და ასეთივე ალბათობით „ფრაიბურგის" ფეხბურთელიც.

**კობა ინასარიძე**

ლეგიონი ყაველაშვილმა გრასჰოპერთან კონტრაქტი გააგრძელა

# ყაველა ისევ კალიაა, ნემსო?

გაირკვა მიხეილ ყაველაშვილის მომავალი — ერთი წლით ისევ შვეიცარიის „გრასჰოპერში" ითამაშებს და კვლავ „მანჩესტერ სიტის" კუთვნილება იქნება. ყაველამ გუშინ კალიებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, თავად კლუბი კი „სიტის" გაურიგდა, ეს ფეხბურთელი ერთი წლითაც დაგვითმეთო. რაც შეეხება გიორგი ნემსაძეს, მას „გრასჰოპერი" 16-ში ელის, მეორე დღეს კი ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგებიან. ისე, გიორგი ნემსაძით ესპანეთის პირველი დივიზიონის ერთ-ერთი გუნდია დაინტერესებული და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა იქნებ სეზონი ესპანეთშიც განაახლოს. თუმცა, სანერვიულო აქვს, რუსებთან მიღებული ტრავმა ისევ აწუხებს. აქაურ ექიმებს უთქვამთ, მენისკი და ჯვარედინი იოგებია დაზიანებულიო. ვარჯიშით თბილისში კი ვარჯიშობს, მაგრამ ბურთთან შეხებისას ტკივილებს გრძნობს და როგორც თავად გვითხრა, ახლა შვეიცარიელი მკურნალების იმედად არის. 16-მდე ტრავმას თბილისში ველარ უწამლებს.

**კობა ინასარიძე**

## რაგბი

# კენჭისყრა და ვარაუდები



ინგლისელთა სურვილი, მორაგბეთა მსოფლიო თასზე სამხრეთნახევარსფეროელთა შეუვალი სიძლიერე დაამხონ, პარასკევს ძნელ ამოცანად იქცა. გუშინ საგაისო შეჯიბრების კენჭისყრა მოეწყო.

მსოფლიო თასი კარდიფში გაიმართება და იქ წარმატების მისაღწევად ინგლისის გუნდს სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის დამარცხება მოუწევს.

ინგლისი, რომელიც 1991 წელს მეორე ადგილზე გავიდა, 1995 წელს კი მეოთხეზე, ფორმალურად ჯერ კიდევ არაა ფინალში გასული, მაგრამ რეალურად, ეჭვი არაა, რომ B ჯგუფში „ოლ ბლექსთან" მოხვდება.

შეჯიბრების დებულების თანახმად, მეოთხედფინალში მხოლოდ ჯგუფებში (ასეთი ხუთია) გამარჯვებულები გავლენ, დანარჩენი სამი გუნდი კი პლეი ოფის სისტემით გაირკვევა.

თუ ინგლისი, როგორც მოსალოდნელია, ახალი ზელანდიის შემდეგ მეორე ადგილს დაიკავებს, პლეი ოფში მოგება დასჭირდება, რათა მეოთხედფინალში, სინგაპურთან თამაშის ნება დართონ, ხოლო ამ, მეოთხედფინალური შეხვედრის გამარჯვებული, ალბათ, ტვიკნემში ავსტრალიას დაუპირისპირდება.

ამის მერე იქნება ფინალი, რომელშიც, როგორც ჩანს, ერთი მხრივ ახალი ზელანდია გავა, მეორე მხრივ კი ზემომოტანილი შტოდან გასული გუნდი.

სამხრეთნახევარსფეროელ გოლიათებს კი გაცილებით იოლი გზის გავლა უწევთ. მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთი აფრიკა შოტლანდიას შეხვდება, 1991 წლის გამარჯვებულ ავსტრალიას კი ირლანდიის დამლევა მოუწევს, რათა მეოთხედფინალში უელსს ეთამაშოს.

ამწუთას შეჯიბრების ფავორიტად ახალ ზელანდიას მიიჩნევენ. მას ბედმა კიდევ უკეთესი გზა შეახვედრა. „ოლ ბლექსს" შანსი აქვს ფინალში ისე გავიდეს, რომ არც ავსტრალიას გადაეყაროს სადმე და არც სამხრეთ აფრიკას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, იგი მეოთხედფინალში შოტლანდიას დაუპირისპირდება, ნახევარფინალში კი საფრანგეთს.

ინგლისის მსგავსად ფინალში გასასვლელად ავსტრალიასაც შესარჩევი ეტაპის გავლა მოუხდება, მაგრამ უეჭველია, რომ იგი სერიოზული დაბრკოლების გარეშე მიაღწევს მიზანს. ავსტრალიას ირლანდიასთან საუცხოო მოგონებები აკავშირებს. მათ ამ ქვეყანაში 1991 წელს ითამაშეს და, როგორც კაპიტანი ჯონ ილესი ამბობს, „ვოლაბები" მოხარულნი არიან, რომ გაისად დუბლინში მოუწევთ დაბრუნება.

„იქ მართლაც სასიამოვნო დრო გავატარეთ. იქაურებმა ჩინებულად გვიმასპინძლეს" — თქვა მან — „ბევრი ჩვენგანისთვის ნაცნობ ადგილას, მეტად მეგობრულ ხალხთან გვიწევს ჩასვლა. მთავარი კი ისაა, რომ ეს ხალხი გაბოროტებული არ არის და ჩაქოლვას არ გიპირებს."

მსოფლიო თასის 1999 წლის გათამაშებაში თექვსმეტის ნაცვლად ოცი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. სულ 41 მატჩი გაიმართება 18 სტადიონზე.

რაც შეეხება მასპინძლობას, ოფიციალურად ტურნირი უელსში გაიმართება, მაგრამ თამაშები ჩატარდება ინგლისშიც, შოტლანდიაშიც, ირლანდიასა და საფრანგეთშიც.

გახსნის შეხვედრა 1 ოქტომბერს არის დანიშნული, როდესაც უელსი ამერიკის ზონის გამარჯვებულს შეხვდება, ფინალური მატჩი კი 6 ნოემბერს კარდიფის 73 500-იან „მილენიუმ სტადიუმზე" გაიმართება.

**მიხეილ სურგულაძე**

**კენჭისყრის შედეგები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ოქტომბერი | D | უელსი — ამერიკა 1 | კარდიფი |
| 1 ოქტომბერი | C | ოკეანეთი 2 — აფრიკა 1 | ბეზიე |
| 2 ოქტომბერი | C | საფრანგეთი — ამერიკა 2 | ბეზიე |
| 2 ოქტომბერი | A | ევროპა 4 — პლე ოფი 2 | გალაშილსი |
| 2 ოქტომბერი | B | ევროპა 2 — ევროპა 5 | თვიქნემი |
| 2 ოქტომბერი | E | ევროპა 1 — ამერიკა 3 | დებლინი |
| 3 ოქტომბერი | D | ოკეანეთი 3 — აზია 1 | რექსემი |
| 3 ოქტომბერი | B | ახ. ზელანდია — პლე ოფი 1 | ბრისტოლი |
| 3 ოქტომბერი | A | ევროპა 3 — ს. აფრიკა | ედინბურგი |
| 3 ოქტომბერი | E | ოკეანეთი 3 — ევროპა 6 | ბელფასტი |
| 8 ოქტომბერი | A | ევროპა 3 — პლე ოფი 2 | ედინბურგი |
| 8 ოქტომბერი | C | საფრანგეთი — აფრიკა 1 | ბორდო |
| 9 ოქტომბერი | C | ოკეანეთი 2 — ამერიკა 2 | ბორდო |
| 9 ოქტომბერი | B | ევროპა 2 — ახ. ზელანდია | თვიქნემი |
| 9 ოქტომბერი | E | ამერიკა 3 — ევროპა 6 | დუბლინი |
| 10 ოქტომბერი | D | ამერიკა 1 — ოკეანეთი 3 | ლანელი |
| 10 ოქტომბერი | E | ევროპა 1 — ოკეანეთი 1 | დუბლინი |
| 10 ოქტომბერი | A | ს. აფრიკა — ევროპა 4 | ედინბურგი |
| 10 ოქტომბერი | B | ევროპა 5 — პლე ოფი 1 | ლესტერი |
| 14 ოქტომბერი | B | ახ. ზელადნია — ევროპა 5 | ჰადერსფილდი |
| 14 ოქტომბერი | D | უელსი — ოკეანეთი 3 | კარდიფი |
| 14 ოქტომბერი | E | ოკეანეთი 1 — ამერიკა 3 | ლიმერიკი |
| 14 ოქტომბერი | C | ამერიკა 2 — აფრიკა 1 | ტულუზი |
| 15 ოქტომბერი | B | ევროპა 2 — პლე ოფი 1 | თვიქნემი |
| 15 ოქტომბერი | A | ს. აფრიკა — პლე ოფი 2 | გლაზგო |
| 15 ოქტომბერი | E | ევროპა 1 — ევროპა 6 | დუბლინი |
| 16 ოქტომბერი | C | საფრანგეთი — ოკეანეთი 2 | ტულუზი |
| 16 ოქტომბერი | A | ევროპა 3 — ევროპა 4 | ედინბურგი |
| 16 ოქტომბერი | D | ამერიკა 1 — აზია 1 | კარდიფი |
| **მეოთხედფინალი, პლეი ოფი** | | | |
| 20 ოქტომბერი | B2 — C2 | H | თვიქნემი |
| 20 ოქტომბერი | A2 — D2 | G | ედინბურგი |
| 20 ოქტომბერი | E2 — საუკეთესო მესამე | F | ლანსი |
| **მეოთხედფინალი** | | | |
| 23 ოქტომბერი | D1 — E1 | M | კარდიფი |
| 24 ოქტომბერი | A1 — H | J | პარიზი |
| 24 ოქტომბერი | B1 — G | K | ედინბურგი |
| 24 ოქტომბერი | C1 — F | L | დუბლინი |
| **ნახევარფინალი** | | | |
| 30 ოქტომბერი | J — M | | თვიქნემი |
| 31 ოქტომბერი | K — L | | თვიქნემი |
| **მესამე ადგილი** | | | |
| 4 ნოემბერი | | | კარდიფი |
| **ფინალი** | | | |
| 6 ნოემბერი | | | კარდიფი |

## ჰოკეი

# '98 NHL Playoffs

**ფინალი**

**დეტროიტი 2 ვაშინგტონი 0**

მეორე მატჩი. 11 ივნისი

**დეტროიტი — ვაშინგტონი 5:4**

**1:0, 0:3, 3:1, 1:0**

**შაიბები: აიზერმანი 5 (ჰოლმსტრიომი, ლიდსტრიომი 8) (1:0), ბონდრა 7 (ნიკოლიშინი, ჯ. ბრაუნი 22) (1:1), საიმონი 1 (ჯ. ბრაუნი 27) (1:2), ოუთსი 6 (ჟიუნო, იუჰანსონი 32) (1:3), აიზერმანი 6 (ფეტისოვი, მაკარტი 47) (2:3), ჟიუნო 7 (გონჩარი, ბელოუზი 48) (2:4), ლაპოინტი 8 (ლარიონოვი, ფეტისოვი 49) (3:4), დ. ბრაუნი 2 (56) (4:4)**

**ოვერტაიმი: დრეიპერი 1 (ლაპოინტი, შენაჰანი 76) (5:4)**



კრის დრეიპერმა (მარცხნივ) დეტროიტს გაამარჯვებინა

ამ მატჩმა ცივი წყალი გადაასხა მათ, ვინც ქადაგებს, ჰოკეი ულიმღამო თამაშად იქცაო. გუნდებმა, რომლებსაც წესითა და რიგით უნდა ეფრთხილათ, საოცარი სანახაობით დაატკბეს მაყურებელი. ყველაფერს დეტროიტელთა კაპიტანმა აიზერმანმა ჩაუყარა საფუძველი, როცა თავის დარტყმულსა და კოლციგის მიერ მოგერიებულს თავადვე მიუსწრო — 1:0. პირველი შეხვედრის დარად, „წითელფრთიანებმა" ახლაც სცადეს ანგარიშის გაზრდა, მაგრამ პირველ პერიოდში არაფერი გამოუვიდათ, მეორეში კი ყველაფერი შეიცვალა. ჯერ ბონდრამ დაასრულა სწრაფი კონტრიერიში, მერე კი საიმონმა და ოუთსმა მცველთა შეცდომებით ისარგებლეს. აი, სწორედ აქ გამოჩნდა მასპინძელთა შეუპოვრობა და მებრძოლი სული. წაგების რეალურმა საფრთხემ მეტადრე აიზერმანი გამოაფხიზლა, რომელიც თანაგუნდელთა შეტევებს ახლაც გაუძღვა და უმცირესობაში გატანილი გოლით მათ ფრთები შეასხა. „წითელფრთიანებმა" ბოლო პერიოდში 20-ჯერ, მთლიანობაში კი 60-ჯერ (!) დაარტყეს (სტუმრებმა 33-ჯერ) დედაქალაქელთა კარში და მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 28 წამში „კეპიტალსმა" გაათანაბრა, დეტროიტელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ძირითად დროში ვაშინგტონელებმა რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნეს ფრე, მაგრამ ოვერტაიმში საკუთარ საჯარიმოს მიჯაჭვულებმა მასპინძელთა ზეწოლას ვერ გაუძლეს და გადაღლილმა ოლაფ კოლციგმა, რომელსაც ვერც ერთ გოლში დაადანაშაულებ, დრეიპერის შაიბა ველარ მოიგერია.

ამ საუცხოო მატჩში გამარჯვებამ დეტროიტი სერიაში 2:0 დააწინაურა. აღსანიშნავია, რომ ნჰლ-ის ისტორიაში მხოლოდ სამმა გუნდმა შეძლო ამ ანგარიშით წარმართული ორთაბრძოლის ბედის შეტრიალება. ბოლოს ეს 1971 წელს (მონრეალი) მოხდა.

სხვათა შორის, თამაშს კვლავ დაესწრნენ ვლადიმერ კონსტანტინოვი და სერგეი მნაცაკანოვი და, დალასთან სერიის არ იყოს, თავისიანები ახლაც გაამხნევეს.

**სამველ ლარიბიანი**

# მითხარი ვინ არის შენი მზარეული...

იქნებ მთლად ასეც არ არის საქმე, მაგრამ ვაშინგტონელთა წარმატების ერთ-ერთ მიზეზად უთუოდ კარგი კვება უნდა ჩაითვალოს. დედაქალაქელები თურმე დიდი გურმანები არიან და მხოლოდ ნუგბარ, ისიც საკუთარი მზარეულის — ჯენარო ფერინიოს დამზადებულ კერძებს მიირთმევენ. ვაშინგტონელებს ისიც არ ჰყოფნით, რომ ცნობილი კულინარი მათ საშინაო მატჩების დროს ემსახურება, ფერინიო გუნდს ყველგან დაჰყვება.

აკი პირის გემოს მცოდნე ჰოკეისტებმა იგი ფინალურ სერიაშიც იახლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიკლ ბერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეთხუთმეტე

# მარჯვენა დენ დონელისა რამდენიმე სურათი

**დაგბურძგლავს, ხორკლი დაგაყრის ტანზე. გაგახსენდება ძველი დროება, დროება მარტოხელა მებრძოლთა, დროება მკლავისა და მუშტისა, ალალი სიტყვისა და ორ ყლუპად გამოცლილი არაერთი კათხისა. გაგახსენდება და მაშ, არ დაგბურძგლავს? გარდასულა დრო იგი საამო, ორასი წელი მაინც გასულა იმ ხანიდან, როცა მუშტს ფასი კაცობით ედო და არა მილიონ დოლარებით...**

### გზა

და დგას ჩრდილოეთის წყლებში კუნძული, ადგილი კლდეებისა და გასაგიჟებლად ზურმუხტოვანი ველებისა. მწვანე კუნძულიო, ასეც ეტყვიან, ხასხასა ალაგიო — ქვეყნის კიდეზე დაფენილი თავად ღვთის მიერ, რათა ადამიანები იქ ყოფნისას ჩასწვდნენ სიმშვიდეს და სათნოებას ღმერთისგან ნაბოძები საჩუქრის გამოო.



ჯიმ ბირნს ამაყად უპყრია დონელის მარჯვენა, „ჰაიდაუთის" კედელზე კი ამ გრძელხელება მოკრივის პორტრეტი ჰკიდია

კუნძულს კი ჰქვია ირლანდია — თითქოს თავისუფლებისთვის მარადჟამს საბრძოლველად მზადმყოფი მხარე, შობილი სიმშვიდისთვის და ვერდამშვიდებული. ქვეყანა ჩარლზ პარნელისა და მარტინ კოლინზისა, ჰოუმრულისა და ტერორისა.

ეს ყველაფერი იყო, იყო...

ეს სხვა კუთხეა და ყველაზე მთავარი კუთხე კი არის ცხოვრება უბრალო ხალხისა. გმირები ხომ ისე ამოიმართებიან უბრალო ხალხის ჯგროდან, რომ თავიდან ვერც კი ამოიცნობ, რომ გმირია.

და კრივი?

რა შუაშია აქ კრივი?

ამ ამბავში კრივი სულაც არ არის უკანასკნელი რამ. კრივი და ირლანდია განუყოფელი ამბებია. მარკიზ ქვინსბერის სულაც არ ჰქონდა შედგენილი თავისი გარდამტეხი წესები, როცა ირლანდიაში მკლავის გამართვა საპატიო და ვაჟკაცურ საქმედ ითვლებოდა. და განა მარტო ირლანდია, მთელი ბრიტანეთი მოკრივეთა საუფლო იყო. კრივი, თუმცალა სადღეისოდ საკმაოდ ველური იერისა, უბრალო ხალხის მთავარი სასეირო და თავის გამოსაცდელი რამ იყო.

ახლა კვლავ ირლანდიის ზურმუხტოვან ველ-მინდვრებზე უნდა ვილაპარაკოთ, უფრო კი ნაფეხურებს გავყვეთ. მწვანე მინდორზე ნაფეხურებია. უფრო კი ნაკვალევი. ვიღაცას იმგვარი მონდომებით უვლია, რომ ნაკვალევი წვიმასაც კი ვერ გადაურეცხავს. ვიღაც ჯანმაგარი და ბეხლეწი ყოფილა, მძიმე და ადლიანი ნაბიჯი ჰქონია. უთუოდ დევი იქნებოდაო, იტყვის გამვლელი, ამ ნაფეხურების ბილიკს რომ ადევნებია შემთხვევით. ნაფეხურები დონელის გორაკად წოდებული ალაგიდან ეშვება დაბლა, ფართო მდელოსკენ და უკანასკნელ ბორცვს რომ აათავებ, დაინახავ, რომ ნაკვალევის ბილიკი იმ ადგილისკენ მიემართება, კილდეირის კურაფი რომ ჰქვია.

ბორცვიდანვე ჩანს — ვიღაცას აქ სამახსოვრო თლილი ქვა დაუდგამს და გარშემო რკინის მესერი შემოუვლია. ირლანდიურ კვანტისტრიალში გარკვეული კაცი ორ რამეს იფიქრებს: ან — უთუოდ აქ დიდი ომი მომხდარაო, ან — აქ უთუოდ რომელიმე დიდი რაინდი ვინმე მარხიაო.

ქვა უხეშადაა ნათალი, გამოცდილი, თუმცალა არცთუ ოსტატური მარჯვენით. იქავ დაფაა, საიდაც ირკვევა, რომ, მართალია, აქ ომი არ ყოფილა, მაგრამ სწორედ ამ ადგილას, 1815 წელს დაუკრავთ ერთმანეთისთვის ირლანდიელ დურგალ დენ(იელ) დონელისა და მასთან შესარკინებლად საგანგებოდ ჩამოსულ ინგლისელ ჯორჯ კუპერს. დონელის ყბა მოუმტვრევია კუპერისთვის და ოცი ათასი ირლანდიელი მოსეირისთვის სიხარული მიუნიჭებია. მერე კი ამდგარა და თავის სადურგლოში, დღეს დონელის ბორცვად წოდებული ადგილისკენ წასულა.

სიხარული და აღტაცება იმგვარი ყოფილა, რომ დონელის თაყვანისმცემლებს სამუდამოდ აღუბეჭდავთ მისი სავალი გზის მარშრუტი, კილდეირის კურაფიდან დონელის ბორცვამდე მათ ბარებით უჩიჩქნიათ მიწა და იგი დონელის ნაფეხურების სიმბოლოდ უქცევიათ.

მაშინ დენ დონელი ყოფილა დაბადებიდან ოცდაშვიდი წლისა. ყოფილა ეს ამბავი დეკემბრის თვეში, არცთუ თბილ დღეს...

### მარჯვენა

არ დაბადებულა მეორე ასეთი კაცი (ამ სიტყვებს ხშირად ვიმეორებთ მოკრივეთა გამო, მაგრამ მუშტის მსახურთა ამქარი ნამდვილად არ ჰგავს ცხვრის ფარას). ამას რომ ვამბობთ, დონელის გარეგნობას ვგულისხმობთ. ის არ იყო ლამაზი ტანის კაცი, ვაჟკაცური იერი კი ჰქონდა, მაგრამ ხელები...

მკლავებს რომ ჩამოჰყრიდა, თითები მუხლებს ჩასცდებოდა. განა სასაცილო არ იყო?

ისტორიამ, წარსულის მოყვარე ხასიათმა, შემოგვინახა უეშმაკო მხატვართა მიერ შესრულებული დენ დონელის ოცამდე პორტრეტი. ამ პორტრეტებიდან ორიოდე თუ იქნება შენახული ირლანდიურ მუზეუმებში, დანარჩენი იქაური ლუდხანების, გინდა პაბების მეპატრონეებს შემოუნახავთ თავიანთი დუქნების კედლებზე. პაბი — ეს სახალხო მუზეუმი ხომ არაფერს ივიწყებს...

ასობით ბალადა, ლექსი და სიმღერა ითქვა ამ დურგალი კაცის გამო. თუმცა, დურგლობაც სიყმაწვილის ხელობა უფრო იყო, კუპერთან ბრძოლის შემდეგ ხომ დონელის ისე გაუვარდა სახელი, რომ ლონდონშიაც კი ჩავიდა და იქაც გამართა რამდენიმე ორთაბრძოლა.

დუბლინელი ქუჩის ბიჭი იყო. კილდეირის საგრაფოში კი იმიტომ მოხვდა, რომ მის პატრონს კაპიტან ვილიამ კელის იქ მამული ჰქონდა.

კილდეირის საგრაფოში, კილკულენის ალაგს დღესაც დგას „ჰაიდაუთის ტავერნა", რომელიც მავან ჯიმ ბირნს ეკუთვნოდა. ჯიმი ბირნი კრივისა და ირლანდიის სახელოვანი წარსულის ტრფიალი იყო. მის ტავერნაში გამოსაჩენ ადგილას, შემინულ ჩარჩოში ინახებოდა მარჯვენა მკლავი დენ დონელისა, მსოფლიოში ყველაზე გრძელი მკლავი, მოკრივისთვის რომ შეუბამს ღმერთს.

საქმეც ესაა, რომ მავან ბოროტებს, სკანდალის, ხმაურის თუ ოქროულობის მაძიებელთ მიწიდან ამოუთხრიათ დონელის კუბო, გვამი კი გაუტაციათ. სწორედ აქ უვაჟკაცია ვილაცას და უთქვამს, არ ეგების, ეს ცხედარი, დაუვიწყარი ცხედარი კვლავ უვარგისთა საჯიჯგნად დავტოვოთო.



ეს ქვა იმ ადგილას დაუდევთ, სადაც დენმა ინგლისელს აჯახა, სადაც ჩაყლაპა ჯადოსნური შაქარყინული და სადაც დღესაც ჩანს ნაფეხურები

ეს გრძელი ისტორიაა და ბოლოსთვის შემოვინახოთ. უკანასკნელ ორმოც წელიწადს კი ბირნის „ჰაიდაუთში" იყო გამოფენილი — უცნაური, შიშისა და აღტაცების ერთდროულად (თუკი ასეთი რამ შეიძლება) მომგვრელი კიდური ოდინდელი მოკრივისა.

ჯიმ ბირნი ამაყობდა ამ მკლავით. მაგრამ ჯიმ ბირნი ახლა ცოცხალი აღარაა. ორი წელიწადია, რაც გაიყიდა „ჰაიდაუთის ტავერნა". ჯიმის შვილმა დეს ბირნმა მკლავი შინ წაიღო და სახალხოდ აღარ გამოუჩენია.

მარჯვენა დენ დონელისა...

### ჯადოსნური შაქარყინული

ირლანდია ლეგენდათა საუფლოა. კილდეირში კი ლეგენდებს დონელის გამო ჰყვებიან.

ეგებ სისულელეც იყოს არცთუ შორეულ დროის რეალურ გმირზე ლეგენდების თხზვა, მაგრამ ხალხის გული ხომ სხვაგვარად ინახავს გმირების ხსოვნას. თურმე დონელის ოსტატობა სულაც არ ყოფილა მხოლოდ მისი გრძელი მკლავების და ქვასავით მუშტების დამსახურება. დონელი ყოფილა რაღაც ჯადოსნური ძალის რჩეული, რახანდა ეს მაგიური რამ იმგვარად დახმარებია, რომ ის ხელახლადაც კი შობილა, როგორც მოკრივე.

ეს მომხდარა მისი და კუპერის ჩხუბის დროს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა ქვის ობელისკია აღმართული. იქ თავმოყრილ ზღვა ხალხს ორთაბრძოლის დაწყებისთანავე დაუტყვია, რომ დონელი ან ხასიათზე ვერაა, ან ჯანზე. თურმე, ინგლისელი გაალმასებით უტევდა, დენი კი როგორღაც დუნედ აქნევდა თავის გრძელ მკლავებს. ამის შემხედვარე კაპიტან კელის დას, ლეგენდაში „მის ველად" მოხსენიებულს, დონელისთვის შეუძახია:

„რასა შვრები ჩემო ჯილავ, აბა შეუკეთე ცეცხლი", და მისთვის ერთი კვნიტი შაქარყინული გადაუგდია. დონელის ჰაერშივე დაუჭერია შაქარყინული და გაუწუწნია. ამ გაწუწნვიდან ოც წუთში დურგალს ძალა მისცემია და ორი ისეთი დაუკრავს ინგლისელისთვის, რომ ყბა ბუდიანად ამოუმტვრევია. იმ შაქარყინულს კი ჯადოსნური ძალა ჰქონია, ამტკიცებს მთხრობელი.

კიდევ კარგი, რომ მაშინ დოპინგკონტროლი არ არსებობდა და იმ „მაცოცხლებელ ელექსირში" ამოვლებულმა შაქარყინულმა ხალხს გმირი აჩუქა.

### სერ

დენ დონელის ყოველთვის დუბლინისკენ მიუწევდა გული. იქ იყო დაბადებული და გაზრდილი. იქაური ტავერნების ხმაური უყვარდა. მაგრამ სახელმა და დიდებამ ლონდონშიც კი ჩაიყვანა. ყელზე ბაფთა მოარგო და ახალთახალი სერთუკი ჩააცვა. დურგალი კი აღარ იყო, არამედ — გამოჩენილი ადამიანი.

და კიდევ ერთი ლეგენდა, რომელსაც კილდეირში გიამბობენ და არ გიამბობენ ლონდონში.

ბრიტანეთის დედაქალაქში დონელი ტახტის მემკვიდრე უფლისწულს შეხვედრია. უფლისწულს მისი დიდებისა ბევრი სმენოდა და თავადაც კრივობის თავგადაკლული მოსეირე ყოფილიყო. დონელი რომ უნახავს და ამ უკანასკნელს მის წინაშე მუხლი მოუყრია, უფლისწულს ბევრი კი აღარ უფიქრია, ხმალი გაუშიშვლებია და ბეჭზე შემოუდევს დაჩოქილისთვის. უფლისწულს ორი სიტყვა უთქვამს:

„სერ, დენიელ".

ესე იგი, ამიერიდან ნაკურთხი ხარ რაინდად და „სერად" იწოდებიო.



დეს ბირნი ამერიკაში მიემგზავრება

იმ ჯადოსნური შაქარყინულისა არ იყოს, ისტორიამ არც დენ დონელის რაინდობის ამბავი შემოგვინახა, მაგრამ ირლანდიელები დღესაც ჯიუტად იმეორებენ, სერობა ნაღდი ამბავიაო. თუკი ეს სერობა ნაღდი ამბავია, კრივის ისტორიაში გაუგონარი ამბავია, მით უფრო, რომ ინგლისელი უფლისწულის მიერ ირლანდიელი დურგლის რაინდად დალოცვა საერთოდაც გაუგონარი კი არა, ისტორიის წიგნის პირველ გვერდზე დასაწერი ამბავია.

იყო თუ არა დონელი რაინდი? ის კი დანამდვილებით არის ცნობილი, რომ არასოდეს მოუთხოვია „სერ დენიელი" დამიძახეთო. ის დუბლინის ჯურღმულთა შვილი იყო და მალე ისევ დუბლინისკენ გამოსწია. ინგლისი ისე მოვლო, რომ ერთადერთი დიდი ბრძოლა გამართა სასექსის საგრაფოში, კროული დაუნსში და მავან ტომ ოლივერს უხეშ, ოცდათოთხმეტრაუნდიან ჩხუბში აჯობა. ეს იყო 1819 წლის 21 ივლისს.



დენ დონელი სერის სამოსში

ამის შემდეგ დონელის დუბლინში ვხედავთ. ტავერნიდან ტავერნაში დაყიალობს, მექალთანეობს და ფულს ფლანგავს. თავი ყოველდღიური სანაძლეოებით გააქვს, მაგრამ ფხიზლად იშვიათად არის. გალეშილი ცხოვრობს ტავერნათა სხვენში და იქვე აღესრულება ციებ-ცხელებით 1820 წლის 18 თებერვალს, დაბადებიდან 32 წლისა.

იქვე მარხავენ, სახალხო სასაფლაოზე.

ასე მთავრდება ამბავი ლეგენდად ქცეულ დენ დონელისა. მაგრამ ამბავი არა მთავრდება, რადგან გმირს სიკვდილი არ უწერია. მკლავი აცოცხლებს მის ამბავს დღესაც, 178 წლის შემდეგ.

### ისევ მარჯვენა

ერთ დღესაც დენ დონელის საფლავი წაბილწული აღმოჩნდა, კუბოს ფიცრები ამოემტვრიათ და გვამი გაეტაცნათ. მთელი ირლანდია ბობოქრობდა, ირლანდია თავის ერთ-ერთ სიმბოლოს დაეძებდა. სიმბოლოს, რომელიც მავანმა ვერაგმა გაიტაცა. და სწორედ აქ ივაჟკაცა ერთმა დუბლინელმა ქირურგმა, რომელმაც გამტაცებლების კვალს მიაგნო და გვამი გამოისყიდა. დონელი ხელმეორედ მიაბარეს მიწას. მაგრამ სანამ დენ დონელის ხელახლა დაკრძალავდნენ, ექიმმა საიდუმლოდ მოჰკვეთა მარჯვენა მკლავი გვამს და შინ შეინახა. ხსენებულმა ესკულაპმა მკლავი სათანადოდ დაამუშავა და შოტლანდიაში წაიღო, რათა იქ ედინბურგის უნივერსიტეტის ანატომიის კათედრისთვის გადაეცა სასწავლებლად.

მკლავი კარგა ხანს დარჩა სქოთთა დედაქალაქში. მხოლოდ 1904 წელს დააბრუნეს იგი ბელფასტში და ბარე 50 წელიწადი იქ იყო გამოფენილი. სწორედ ამის შემდეგ მოიგდო მკლავი დონელის ფანმა ჯიმ ბირნმა და თავის „ჰაიდაუთში" გამოფინა.

ორი წლის წინ ჯიმის ვაჟმა დეს ბირნმა „ჰაიდაუთი" გაყიდა და ბენზინის სადგური იყიდა, მაგრამ მკლავი პაბში არ დაუტოვებია, შინა აქვს შენახული.

ახლა დესს უნდა, მკლავი მინის ჩემოდანში ჩადოს და სალექციო ტურნე ჩაატაროს ამერიკაში, იქაურ ირლანდიელებს უამბოს დენ დონელის ამბავი, აუხსნას რაობა გუშინდელი კვირისა და მწვანე კუნძულზე დატრიალებული ორთაბრძოლებისა.

დენ დონელი კი მართლაც უკვდავი ყოფილა.

და შენ ხორკლი არ დაგაყრის ამ მკლავის დანახვაზე?

კილდეირში დღესაც ჩანს ნაფეხურები, ლოთი დურგლის ნავალ გზას რომ უჩვენებს კაცს.



დღეს ნიგერიის ნაკრებს პირველი მატჩი ელის. მათ მეტოქეც ძალიან ძლიერი ჰყავთ — ესპანეთის ნაკრები. ამას სუპერარწივთა სამშობლოში ძველი, ან გარდაცვლილი სამხედრო დიქტატორის სანი აბაჩას ახალი დიქტატორით აბდულსალამ აბუბაკარით შეცვლასთან დაკავშირებით ატეხილი აურზაურიც დაერთო. რა გავლენას მოახდენს ყოველივე ეს ოლიმპიური ჩემპიონების თამაშზე და შედეგზე?

## ფეხბურთი მინისტრებსაც უყვართ

ყველამ იცის, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგია. მას არც ქვეყნის ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი ჩამორჩება. მათდა სამწუხაროდ, ორშაბათს, როდესაც ინგლისის ნაკრები თავის პირველ სამსოფლიოსჩემპიონატო შეხვედრას გამართავს ტუნისელთა წინააღმდეგ, ისინი ევროკავშირის სამიტს უნდა დაესწრონ. თუმცა ხმები დაირხა, რომ ინგლისის მთავრობის ეს ორი წარმომადგენელი დიდ გეგმებს აწყობს, რათა როგორმე ამ მატჩის ნაწყვეტების ხილვა მაინც მოახერხოს. თამაში მარსელში გრინვიჩის დროით 12 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. ზუსტად ამ დროს, ევროკავშირის სამიტზე სამსაათიანი შესვენება გამოცხადდება ლანჩისთვის. მართალია, იმ შენობაში, სადაც მთავრობის წარმომადგენლები ისადილებენ, ტელევიზორი არ არის, მაგრამ ბლერის ერთ-ერთმა ხელქვეითმა განაცხადა: „პრემიერ-მინისტრს ყოველ წამს შეატყობინებენ თამაშის პერიპეტიებს და თუ ისე მოხდა, რომ მატჩის ხილვის საშუალება გამოინახა, იგი აუცილებლად ნაწყვეტებს მაინც ნახავს.“

რაც შეეხება წარმოშობით შოტლანდიელ (ინგლისელთა მტრები საფეხბურთო მოედანზე) ბრაუნს, მან ასეთი განცხადება გააკეთა: „შეიძლება ზოგს გაუკვირდეს, მაგრამ მე ვარ შოტლანდიელი, რომელსაც ძალიან უნდა ინგლისელთა თამაშის ყურება.“

# მთავარი პრობლემა შებმაა, თორემ...

დაიწყო ჩემპიონატი და დაგვატყდა კიდეც თავს წუთები, წამები, გოლები და მისთანები, მაგრამ განა ფეხბურთი მარტო ესაა? ბევრ სხვაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ, აი, მაგალითად, სექსზე...

გლენ ჰოდლმა, გასაგებ მიზეზთა გამო, ლამის ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაიყვანა გუნდი და, რაც მთავარია, პირველი ეტაპის დამთავრებამდე საერთოდ აუკრძალა ფეხბურთელებს ცოლებთან და გელფრენდებთან კონტაქტი, თუმცა იმედოვნებენ, რომ ჯგუფურის (სექსი არა, ტურნირი) დამთავრების მერე იგი ერთი პაემნის ნებას ყველას დართავს. „ჰოდლი თავად იყო ფეხბურთელი და შეკრებაც არაერთი გაუვლია, ამიტომ კარგად ესმის, რომ დაწყნარებული და მხიარული გუნდი სჯობს დაბოღმილი ფეხბურთელების ჯგუფს“ — წერს „დეილი ექსპრესი“. ამასთან, ალსანიშნავია, რომ პორნოარხების ყურება ინგლისის ნაკრების წევრებს არ ეკრძალებათ.

რა სიტუაციაა ამ მხრივ სხვა გუნდებში? წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე უხეირო გამოსვლის ერთ-ერთ მიზეზად გერმანელებმა სწორედ მოთამაშეთა ცოლებთან ერთად ცხოვრება დაასახელეს. ორი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე კი ბერტი ფოგტსმა პირველად აკრძალა მეუღლეებთან კონტაქტი, რამაც, გახსოვთ, გაამართლა და რაღა გასაკვირია, რომ ამჯერადაც გერმანელი ფეხბურთელები უქალებოდ დარჩნენ.



„ქალის ფეხი ჩვენს ბაზაზე არ დაიდგმება“ — განაცხადა პარიზიდან 30-იოდ კილომეტრში დაბანაკებული იტალიის ნაკრების პრეს-ატაშემ მასიმო პიროლამ და თან დასძინა, მართალია, ბაზაზე შეყვანილია იტალიური სატელევიზიო არხები, მაგრამ ეროტიკული არცერთია. ამასთან, პაოლო მალდინისა და მის თანაგუნდელებს სექსუალური ტაბუს შესრულება სრულიადაც არ მოუწევთ — მათ ყოველი თამაშის მერე გაუშვებენ ნახევარი დღით, იქ კი, ქალაქში, მათ ვერავინ ვერაფერს დაუშლის, თუმცა ეს ნახევარდღიანი „სექსუალური შვებულებები“ პირველი ეტაპის დამთავრებისთანავე შეწყდება.

თითქმის ანალოგიური ვითარებაა ბრაზილიელთა ბანაკშიც. როგორც წერენ, მოთამაშეებმა ამოისუნთქეს, როცა განუცხადეს, რომ სექსი ნებადართულია, ოღონდ მხოლოდ თამაშის მერე და არა ბაზაზე.

ფრანგი ფეხბურთელები კი, თუ ძალიან გაუჭირდათ, ან ძალით წააგებენ, ანაც ერთმანეთს დაერევიან, რადგან: „ქალები მხოლოდ ხელს შეგვიშლიან. ფეხბურთელები გავაფრთხილე, რომ ქალს ვერ ნახავენ, სანამ ერთი მატჩიც კი გვექნება დარჩენილი.“ ეს ემე ჟაკეს სიტყვებია.

ამის მერე რაღა გასაკვირია, რომ პარიზის მახლობლად, სამვარსკვლავიან „ნოვოტელ სენარში“ დაბინავებულმა საუდის არაბეთის ნაკრებმა სექსს სასტიკი უარი სტკიცა. არაბი მოთამაშეების ოთახებიდან გატანილია საკაბელო ტელევიზიის დეკოდერებიც, ეს კი არა, საუდელთა გუნდის ხელმძღვანელობამ სასტუმროს თავკაცებს მოსთხოვა იმ სარისკო გადაცემების ნუსხა, რომლებიც ჩვეულებრივ არხებზე გადის და სადაც შეიძლება ოდნავი სიშიშვლეც კი გამოჩნდეს. თანაც, ფეხბურთელთა ოთახებიდან გატანილია მინი-ბარებში არსებული ალკოჰოლური სასმელები.

ყველაზე ლმობიერად სექსს ნიგერიელთა ცნობილი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი მიუდგა: „მთავარი პრობლემა სექსი არაა, მთავარი პრობლემა ის დროა, რომელსაც ჩემი მოთამაშეები ქალების ძებნაში და მათ შებმაში ხარჯავენ, ასე რომ, ოღონდ ქალი იყოს და...“

**ზურაბ მექვევლია ლონდონიდან**



როცა დენილსონი თავის მეგობარ გოგონასთან და თანაგუნდელებთან ერთად დისნეილენდში ატარებდა დროს, რონალდო და რონალდინია, მიუხედავად მცდელობისა, სხვაგანაც ვერ დაემალნენ ფოტოკამერას

## ბებეტომ მიკი მაუსს აჯობა

ხუთშაბათს ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეები პარიზის დისნეილენდში რომ მივიდნენ, მიკი მაუსმა და მისმა მეგობრებმა თავი ჩაქინდრეს. საქვეყნოდ ცნობილი პერსონაჟები უკანა პლანზე გადავიდნენ, ხალხის ყურადღება კი მთლიანად ფეხბურთელებმა მიიპყრეს.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასულმა ტურისტებმა თავი მოიყარეს ბებეტოს, დენილსონის, ჟუნიორ ბაიანოს და სხვათა გვერდით, როდესაც ისინი მთავარ ქუჩაზე, ამერიკულ რესტორანში სასაუზმოდ შევიდნენ.

ბუნებრივია ხალხმა რონალდოს დაუწყო ძებნა, მაგრამ დიდი ვარსკვლავი არ გამოჩენილა. იქნებ იმიტომ, რომ კარგად იცოდა, მის გამოჩენას რა მოჰყვებოდა.

გეხსომებათ, ბებეტოს ერთ-ერთი შვილი მსოფლიოს წინა ჩემპიონატის დროს დაიბადა და მამამ გოლი მიუძღვნა. გუშინწინ, ის ბიჭი, სახელად მათეუსი, მშობლებთან დასთან და ძმასთან ერთად დისნეილენდში იყო. მალე მას ოთხი წელი შეუსრულდება.

დისნეილენდში იმავდროულად შოტლანდიის ნაკრების გულშემატკივრები მივიდნენ. მათ ალბათ სულაც არ ესიამოვნათ ბრაზილიელების დანახვა, რადგან წინა დღეს სწორედ მათთან წააგეს 1:2, მაგრამ მაინც მივიდნენ დენილსონთან და ავტოგრაფი გამოართვეს. დენილსონი ღიმილით აწერდა ხელს და თან მობილური ტელეფონით საუბრობდა.

ბოლოს, წუხანდელი მეტოქეები დამეგობრდნენ. ბრიტანელებმა ტაში დაუკრეს ოკეანისგაღმელ ვარსკვლავებს.

ამასობაში მიკი მაუსმა და მისმა მეგობრებმაც ფხა გამოიჩინეს, ბურთის კენწვლას მიჰყვეს ხელი.




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29